ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## კახა კუკავა: „ოცნება“ დღეს თუ არ დათმობს, ხვალ უკვე გვიან იქნება“

„ცივილიზებულ სამყაროს ეშინია, რომ ამ ჩვენს პატარა ბანანის რესპუბლიკაში ერთმანეთი არ ამოვწყვიტოთ“



გვ.3

3 დეკემბრიდან

რჩეული საბავშვო მოთხრობები

წიგნი I-II

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი




პარასკევი, 6 დეკემბერი, 2019 №289 (8243) ფასი: 60 თეთრი

# დავით ჭიჭინაძე: „ქართულმა ოცნებამ“ თავისი რესურსი ამოწურა“

„ვადამდელი არჩევნები ხელს არავის აძლევს“



გვ.3

## ხათუნა ხოფერია: „ოპოზიციას ვინ ეკითხება, „ოცნება“ მესამე ვადით მოვა თუ არა?“

„დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, მეც არ მივიღებდი კენჭისყრაში მონაწილეობას, რომ მაჟორიტარული სისტემა გაუქმებულიყო“



გვ.3

## „აი, რას გვიკეთებენ რუსი „მეგობრები“

კრემლის ჯაშუშები კვლავ სკანდალში გაეხვივნენ



გვ.5



გვ.4

## „საქართველოში სახელმწიფოს ნგრევის მესამე სცენარი ხორციელდება“

ანზორ აბრალავა: „პროპორციული სისტემა რომ იყოს დამტკიცებული, მაშინ შერეულს მოითხოვდნენ. ეს მოთხოვნები საბაბია ახალი რევოლუციისთვის“



გვ.4

## ნიკა ჩიტაძე: „ოცნებას“ ოპოზიციასთან პოლიტიკური ვაჭრობის მცდელობა აქვს“

„პასუხისმგებლობა იმ მოქალაქეებსაც ეკისრებათ, რომლებმაც „ოცნებას“ 2012 წელს ხმა მისცეს“

## ათონის მთაზე მოღვაწე ბერი ზუგდიდში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს



გვ.2

ISSN 1987-9385

2 ნიკა გვარამია სუსში დაიბარეს „რა დონე პოსტები მცოდნია!“

2 ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე მშობლები და პედაგოგები დააკავეს

6 ლუკაშენკო: „ბელარუსი რუსეთის ნაწილი არასდროს გახდება“

7 ვარი და შანსი მსოფლიოზე

# ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე მშობლები და პედაგოგები დააკავეს

პოლიციამ არასრულწლოვნების პორნოგრაფიის უკანონოდ დამზადება-გასაღებისა და ტრეფიკინგის ბრალდებით ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელის კიდევ 11 წევრი დააკავა. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძემ გუშინ, 5 დეკემბერს, ბრიფინგზე განაცხადა, დაკავებულებს შორის არიან არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები და პედაგოგები.



ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული 17-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულებს პორნოგრაფიული ნაწარმოებების დამზადებაში ჩაბმული ჰყავდათ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. მშობლებს, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, ბავშვები მიჰყავდათ აშშ-ის მოქალაქის მიერ თბილისში კონსპირაციულად მოწყობილ ფოტოსალონში, სადაც ხდებოდა არასრულწლოვნების პორნოგრაფიული შინაარსის ფოტო-ვიდეო მასალის გადაღება უცხოეთში შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

ასევე, დაკავებულია არასრულწლოვანი ბავშვების სკოლის პედაგოგი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ბავშვების შერჩევაში და მიმდინარე წლის სექტემბერში დაკავებულ აშშ-ის მოქალაქეს დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებაში ეხმარებოდა.

ამავე საქმეზე მიმდინარე წლის სექტემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, ევროპოლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბავშვთა პორნოგრაფიის დამამზადებელი ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი გამოავლინეს. სექტემბერში, პირველ ეტაპზე, სამართალდამცველებმა აღნიშნული ქსელის 11 წევრი დააკავეს. ამ დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, სულ დაკავებულია 22 პირი.

დაზარალებული არასრულწლოვნების უფლებების დაცვის მიზნით გრძელდება შესაბამისი ფსიქო-სოციალური ღონისძიებები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 255-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 143-პრიმა-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების უკანონოდ დამზადება-გასაღებას, ასევე, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ ტრეფიკინგს გულისხმობს, – აღნიშნეს უწყებაში.

# ათონის მთაზე მოღვაწე ბერი ზუგდიდში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა 4 დეკემბერს, გვიან ღამით, ათონის მთაზე მოღვაწე ბერი გიგა ქავთარაძე დააკავეს. გამოძიება მას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ქონას ედავება.

ბერის დაკავებას გუშინვე გამოეხმაურა საპატრიარქოს პრესმდივანი, მამა ანდრია ჯაღმაიძე.

– მე ვიცოდი, რომ სასულიერო პირის მამა იყო დაკავებული, რომელმაც ამანათი მიიღო, სადაც აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება. საპატრიარქო ჯერ დაელოდება სამართალდამცველების დასკვნას, ხომ შეიძლება, ტყუილად ედავებოდნენ ან დამნაშავე იყოს? ჩვენ არ გვაქვს საშუალება, წინასწარ გამოძიება ვაწარმოოთ, – განუცხადა მან კურიერს.

მამა ანდრიას ინფორმაციით, ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული ბერი ათონის მთაზე ცხოვრობდა, ქართულ ეკლესიაში კი არასდროს უმსახურია.

– საქმე ის არის, რომ ეს ადამიანი აღიკვეცა ათონის მთაზე და ცხოვრობდა იქ. საქართველოში რაც დაბრუნდა, ცხოვრობდა თავის სახლში. არ ცხოვრობდა მონასტერში და არც მოღვაწეობდა ეკლესიაში. ასე რომ ჩვენ პრინციპში მის სასულიერო პირობაზე და მის მოღვაწეობაზე არანაირი პასუხისმგებლობა და ინფორმაცია არ გვაქვს, – უთხრა დეკანოზმა ინტერპრესნიუსს.

მას დაკავებულ პირზე ინფორმაცია არ აქვს.

– არაფერი ვიცი, პირადად არ ვიცნობ. თბილისის ეპარქიაში არ არის. უბრალოდ, რაც გვაქვს გადმოცემით ინფორმაცია, რომ მოიხმარდა ალკოჰოლს, ალკოჰოლთან დაკავშირებით ჰქონდა რაღაც პრობლემა. სახლში ცხოვრობდა, როგორც ერისკაცი, – აღნიშნა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.



ნიუპოსტმა რეზონანსული საქმის შესახებ დამატებითი დეტალების გარკვევა შეძლო. სააგენტოს ცნობით, ბერმა გიგა ქავთარაძემ პოლიციას აღიარებითი ჩვენება მისცა, სადაც მიუთითა, რომ საქმეზე დაკავებული კიდევ ერთი პირი, რომან მალანია, უდანაშაულოა.

„ჩანთა, რომელშიც ნარკოტიკული საშუალებები იყო მოთავსებული, მე გადავეცი მალანიას. თბილისში გავატანე, მეორე დღეს უნდა ჩავსულიყავი დედაქალაქში და ამეღო ჩანთა", – წერს სასულიერო პირი ჩვენებაში.

მსგავსი ჩვენების არსებობას ადასტურებს ბრალდებულის ადვოკატი ჯიტა გულუა. ნიუპოსტთან საუბრისას გულუა ამბობს, რომ მას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიგა ქავთარაძე ალკოდამოკიდებულია.

მალანია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში მაშინ აიყვანეს, როცა ის სამარშრუტო ტაქსით თბილისისკენ გადაადგილდებოდა. ჩხრეკისას კი ჩანთიდან, რომელიც, სავარაუდოდ, სასულიერო პირს ეკუთვნის, პოლიციამ ნარკოტიკული საშუალება, 14,5 გრამი მეტადონი ამოიღო.

თავდაპირველად სამართალდამცავებმა მალანია დააკავეს, თუმცა მას შემდეგ, რაც ბერი საკუთარი ფეხით მივიდა პოლიციაში და ჩვენება მისცა, სასამართლომ მალანიას 10.000 ლარიანი გირაო შეუფარდა.

ნიუპოსტის ცნობით, დაკავებულის ძმა ზუგდიდში მოღვაწე დეკანოზი გიორგი ქავთარაძეა.

გიგა ქავთარაძე ათონის მთაზე 6 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. სასულიერო პირი საქართველოში 8 თვის წინ ჩამოვიდა და ზუგდიდში, საკუთარ სახლში ცხოვრობდა.

# ადვოკატი მოსიაშვილი: „ალექსანდრე ტოგონიძეს ნიკოლოზ ქუმსიშვილის მკვლელობა ზეწოლის შედეგად აღიარებინეს"

მეგობრის სასტიკი მკვლელობის ბრალდებით დაკავებული 40 წლის ბიზნესმენი ალექსანდრე ტოგონიძე აცხადებს, რომ მას აღიარებითი ჩვენება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიაცემინეს.



აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ტოგონიძის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განუცხადა.

როგორც მოსიაშვილი აცხადებს, მოკლული ნიკოლოზ ქუმსიშვილი და ალექსანდრე ტოგონიძე ბიზნესპარტნიორები არ ყოფილან და არც რამე სახის დავა ჰქონდათ. ადვოკატი ამბობს, რომ ტოგონიძე მოკლულ მამაკაცს ბიზნესთან დაკავშირებით კონსულტაციებს ხშირად უწევდა.

– ალექსანდრე ტოგონიძე, რომელიც დაკავებულია საკუთარი მეგობრის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ საქმეში არსებული ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც საკუთარი აღიარებაა, საგამოძიებო ორგანოს მოპოვებული აქვს მასზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად.

მან აღნიშნულთან დაკავშირებით, დაცვის მხარეს ინფორმაცია მიაწოდა, ასევე ინფორმაცია მიწოდებულია სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის. შესაბამისად, დაცვის მხარე ყველა კანონიერ საშუალებას გამოიყენებს იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებული პირის უდანაშაულობა დადასტურდეს წარდგენილ აბსურდულ ბრალთან დაკავშირებით.

დაცვის მხარე მოიპოვებს როგორც ტოგონიძეზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით მტკიცებულებას, რომელიც საზოგადოებისთვის იქნება ცნობილი, ასევე აბსურდულ ბრალთან დაკავშირებით სამართლიან სასამართლოში დავადასტურებთ ბრალების აბსურდულობას, – განაცხადა ადვოკატმა მოსიაშვილმა.

მისივე განმარტებით, ალექსანდრე ტოგონიძე იმის გამო დააკავეს, რომ მოკლულ მამაკაცთან ბოლო კომუნიკაცია სწორედ მას ჰქონდა.

– ერთადერთი, რის გამოც, ალექსანდრე ტოგონიძის დაკავება მოხდა, არის ის რომ, ბოლო კონტაქტი საკუთარ მეგობართან ამ ადამიანს ჰქონდა, რის შემდეგაც, ის დაკარგულად ითვლებოდა. იმის გამო, რომ პირს ბოლო კონტაქტი ჰქონდა მეგობართან, მისი დაკავების საფუძველი გახდა. ვინაიდან სხვა მტკიცებულება არ არსებობდა, საჭირო იყო დაკავებულის მხრიდან აღიარება, ეს აღიარება კი, სამწუხაროდ, მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად განხორციელდა.

სამწუხაროა, რომ უდანაშაულო ადამიანის დაცვა გვიწევს, ვინაიდან მასზე საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ზეწოლა განხორციელდა. მეგობრებს შორის არანაირი სახის კონფლიქტი არ არსებობდა. გამოძიებას უნდა, რომ კონფლიქტი გამოკვეთოს, თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი კონტაქტი ამ ადამიანებს ერთად ჰქონდათ, ეს არ უნდა იყოს წინაპირობა იმის, რომ პირს ბრალი წაუყენონ. ეს ადამიანი კონკრეტულ შემთხვევაში მსხვერპლია, ვინაიდან მას არანაირი სახის დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია და ეს არ არის ტრაფარეტული სიტყვები, – აღნიშნა მოსიაშვილმა.

ალექსანდრე ტოგონიძეს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

2018 წლის 14 მაისს, ვანის მუნიციპალიტეტში მდინარე რიონის სანაპიროზე ლითონის კასრში მამაკაცის დამწვარი ცხედარი იპოვეს. ბიოლოგიური ექსპერტიზით გაირკვა, რომ მოკლული მამაკაცი ნიკოლოზ ქუმსიშვილი იყო. თითქმის ერთი წლის შემდეგ სამართალდამცავებმა ქუმსიშვილის მეგობარი ალექსანდრე ტოგონიძე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ალექსანდრე ტოგონიძემ ხაშურის მუნიციპალიტეტში ფინანსური დავის გამო კუთვნილი არარეგისტრირებული სანადირო თოფიდან გასროლით თავისი ბიზნესპარტნიორი ნიკოლოზ ქუმსიშვილი მოკლა. ბრალდებულმა ცხედარი დანაშაულის დაფარვისა და კვალის წაშლის მიზნით ლითონის კასრში მოათავსა და ცეცხლი წაუკიდა. ამის შემდეგ ბრალდებულმა ნაწილობრივ დამწვარი ცხედარი საკუთარი ავტომობილით ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ჩაიტანა და კასრიანად მდინარე რიონში გადააგდო.

# ცოლის თბილისის ზღვაზე გაუპატიურებისთვის ი.ჩ.–ს 7 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ ძალადობისა და გაუპატიურების ფაქტზე ბრალდებული ი.ჩ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ი.ჩ-მ 2019 წლის 25 თებერვალს მეუღლეს – ნ.ს-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, სახის არეში ხელი დაარტყა და ტუჩი გაუხეთქა. 2019 წლის 26 თებერვალს ღამის საათებში ი.ჩ.-მ დაზარალებული მანქანით წაიყვანა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გააუპატიურა.

სამართალდამცველებმა ი.ჩ. 2019 წლის 3 მარტს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს თბილისში.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-137-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის გაუპატიურება), 1261 მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ჩ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ნიკა გვარამია სუსში დაიბარეს

## „რა დონე პოსტები მცოდნია!"

ნიკა გვარამია სუსში დაიბარეს. ის დღეს, 6 დეკემბერს უნდა გამოცხადდეს უწყებაში. ამის შესახებ გვარამიამ ფეისბუქში დაწერა:

„ერთი ფბ პოსტის გამო შეწუხდით ამხელა ხალხი? რა დონე პოსტები მცოდნია".

# ლიბერთისა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი ახალი სოციალური პროექტი

ლიბერთი ბანკსა და რუსთაველის თეატრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დღეიდან ლიბერთის სოციალური ბარათის მფლობელები, მათ შორის პენსიონერები და სახელმწიფო სოციალური სარგოს მიმღები პირები, რუსთაველის თეატრის მიერ გამართული სპექტაკლების ბილეთებს 30%-იანი ფასდაკლებით შეიძენენ.



ამ ერთობლივი სოციალური პროექტის თანახმად, ფასდაკლების მისაღებად ბილეთების შეძენა უნდა განხორციელდეს ლიბერთის სოციალური ბარათით თეატრის სალაროში განთავსებულ ლიბერთის ტერმინალზე.

– რუსთაველის თეატრისთვის მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამაში ჩართულობა. მხარს ვუჭერთ და მზად ვართ, ლიბერთისთან ერთად განვახორციელოთ აღნიშნული პროექტი, – განაცხადა შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორ-განმკარგულებელმა გიორგი თევზაძემ.

– ლიბერთიმ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამით 2018-2019 წლებში არაერთი უპრეცედენტო პროექტი განახორციელა. საბანკო მომსახურების გაუმჯობესების პარალელურად, მომხმარებელზე ზრუნვა ჩვენს მუდმივ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ლიბერთის სოციალური ბარათის მფლობელებისთვის, რუსთაველის თეატრთან შემუშავებული სპეციალური შეთავაზების გარდა, წარმატებით ვახორციელებთ ანალოგიურ კამპანიებს სამედიცინო კლინიკებთან, ასევე სუპერმარკეტებთან და ფარმაცევტულ ქსელებთან ერთად. მუდმივად ვცდილობთ მომხმარებლის წახალისებას – შევქმენით ქალაქის მასშტაბით დასასვენებელი სივრცეები, სადაც ჩვენს საპენსიო ასაკის თანამოქალაქეებს, ახალი უნარ-ჩვევების შესწავლის, გართობისა და გამაჯანსაღებელი აქტივობის შესაძლებლობა აქვთ. ვიმედოვნებთ, მომავალში რუსთაველის თეატრთან ერთად მათთვის საინტერესო კულტურულ ღონისძიებებს განვახორციელებთ, – განაცხადა „ლიბერთის" გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან თხელიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ჭიჭინაძე: „ქართულმა ოცნებამ“ თავისი რესურსი ამოწურა“

## „ვადამდელი არჩევნები ხელს არავის აძლევს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, „ქართულ ოცნებაში“ თითქოს ახალი დაპირისპირება მწიფდება. დიმიტრი ხუნდაძე სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლასა და ორპალატიან პარლამენტს ითხოვს. ეს დაპირისპირება რეალური შეიძლება იყოს?***

– „ქართული ოცნება“ როდესაც ამბობს, რომ დიდი დაპირისპირებაა გუნდში, ეს ნიშნავს, რომ არაფერიც არ ხდება. როდესაც რეალური დაპირისპირებაა, მაშინ ამბობენ, რომ არაფერი ხდება. ეს არის უსუსური მცდელობა, რომ თითქოს ხალხის მოტყუებას აპროტესტებს ერთი ნაწილი და სურთ, დემოკრატიული სახე მისცენ. როგორც კომუნისტურ პარტიაში იყო წარმოუდგენელი განსხვავებული აზრის გატარება, ისეა ეს შეუძლებელი „ქართულ ოცნებაში“.

„ქართული ოცნება“ ავტოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. ვისაც მართლა განსხვავებული აზრი ჰქონდა, ყველას გასასვლელი კარისკენ მიუთითეს. დიმიტრი ხუნდაძე მორჩილ უმრავლესობაში იყო. როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებები იყო, არანაირი ინიციატივა არ ჰქონია და ახლა იდეების ფრქვევა ცოტა გასაკვირია.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნებისთვის“ საარჩევნო მოდელს არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. რას გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა, აღარ აქვს. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი რესურსი ამოწურა. შესაბამისად, რა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო მოდელს?! მას ხელისუფლებაში ერთპიროვნულად დარჩენის არავითარი რესურსი არ აქვს.

თუ რეალურად წავა ცვლილებების გზით, მაშინ ექნება შანსი, ქვეყნის კოალიციურ მმართველობაში დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე გაქრებიან, როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ გაქრა.

თუ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს დააკავებენ, თუ კონკრეტულ სახელსა და გვარებს მოიშორებენ და რეალურად ჯანსაღ პოლიტიკურ ძალასთან კოალიციისთვის მოემზადებიან, მაშინ შანსი ექნებათ, უფრო მეტი, ვიდრე მათ წინამორბედ ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა.

ახლა ამას კი არ ვხედავთ, ვხედავთ ერთმანეთისადმი დაპირისპირებასა და დესტრუქციას.

***– ისევ პოლარიზებულ გარემოში ვართ, სადაც ეს ორი ძალა ახვევს თავს ამომრჩეველს თავის სურვილებს?***

– დიახ, თუმცა ნაკლებად პოლარიზებულია, იმიტომ რომ ეს ორივე ძალა ერთია, ფუძე, წარმოშობა ერთი აქვთ, ყოველთვის შეეცდებიან ხალხის მოტყუებას ამ მითიური დაპირისპირებით.



ამას თავის დროზე ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე აკეთებდნენ და ეს მითიური დაპირისპირება ორივესთვის როგორც დასრულდა, ვნახეთ. ისე დასრულდება ამათთვისაც.

დღეს ქვეყანას ამ ორი ძალისგან გათავისუფლება სჭირდება.

***– ხუხაშვილი ამბობს, რომ მცოცავი არასტაბილურობა არჩევნების ბოლო დღემდე გვექნება. თქვენც ასეთი განცდა გაქვთ?***

– დიახ, რადგან ეს არის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ვარიანტი. ამ ორმა პოლიტიკურმა ძალამ წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად დაიწყო. უკვე საარჩევნო დაპირებებზეც აღარ არის საუბარი. საარჩევნო დაპირებები გადახაზულია, მხოლოდ ნეგატივსა და დესტრუქციაზეა აგებული მათი კამპანია.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამ სტრატეგიამ გაამართლა და კვლავ იმავე სტრატეგიას მიმართავენ, ოღონდ ამჯერად მასშტაბები უფრო დიდია.

***– „ოცნება“ ვინმემ შეიძლება, კიდევ დატოვოს?***

– „ქართული ოცნება“ იმ ჯანსაღმა ძალებმა, რომლებიც კიდევ არიან შიგნით, არ უნდა დატოვონ, იმიტომ, რომ წაიქცევა. ხომ ამბობენ, გუნდში დემოკრატია გვაქვსო, ამიტომ ამ ადამიანებმა ღიად უნდა იბრძოლონ იმ ღირებულებებისთვის, რომლებსაც თავის დროზე ხალხს დაჰპირდნენ.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, ასეთი ვინ გეგულებათ?***

– კენჭისყრებს თუ გადახედავთ, მიხვდებით. არ მინდა, მათ ზიანი მივაყენო და ღიად დავასახელო. ეს ადამიანები ჯერჯერობით იმიტომ არ ტოვებენ „ქართულ ოცნებას“, რომ ცდილობენ, მეტ-ნაკლებად იყვნენ დასაყრდენები. ამიტომ არ მიმაჩნია სწორად, რომ ამ ადამიანებმა პარტია უნდა დატოვონ, რადგან მაშინ წყალს ვადამდელ არჩევნებს დავასხამთ.

ვადამდელი არჩევნები კი ხელს არავის აძლევს, პირველ რიგში, ქვეყანას. ვირტუალური რევოლუციური სცენარები ქვეყანას არ აწყობს, რადგან გამოუვალ ჩიხში შევალთ.

# ხათუნა ხოფერია: „ოპოზიციას ვინ ეკითხება, „ოცნება“ მესამე ვადით მოვა თუ არა?“

## „დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, მეც არ მივიღებდი კენჭისყრაში მონაწილეობას, რომ მაჟორიტარული სისტემა გაუქმებულიყო“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **ხათუნა ხოფერია** პასუხობს.

***– ქალბატონო ხათუნა, თქვენ დაწერეთ მოწოდება, დაგვიძახეთ და გამოვალთო. რატომ? დღეს არსებულ ვითარებას როგორ აფასებთ? უკვე ქუჩაში მოწინააღმდეგე ძალებს შორის დაპირისპირებები ხდება.***

– თავისთავად, როდესაც პოლიტიკური პროცესი – საპროტესტო აქციები, მანიფესტაციები სამართალდარღვევაში, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, პირად შეურაცხყოფებში გადადის და ადამიანის სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის საშიში გარემო იქმნება, ადგილი აქვს ოფისებში მივარდნას, მუქარას, ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, არჩევანის წინაშე დგებიან.

***– რა არჩევანის წინაშე?***

– არჩევანის წინაშე დგებიან, რა მოიმოქმედონ. როგორ დაიცვან თავიანთი ახლობლები, მეგობრები, ოჯახის წევრები, ოფისის წარმომადგენლები. როდესაც ვინმე ჩადის ასეთ განუკითხაობას და გარკვეული საფრთხე, საკუთარი სიცოცხლის რისკი იქმნება, მაშინ გამოდიან ქუჩაში.

მე გავაკეთე განცხადება, დაგვიძახეთ, გვითხარით, სად შევიკრიბოთ, ვინ ვიქნებით შეკრებილი ადამიანები და მივიღოთ გადაწყვეტილება, რას ვაკეთებთ-მეთქი. სახელმწიფო იცავს სიმშვიდეს, პარლამენტს, რომ არ შეიჭრან და სახელმწიფომ იფუნქციონიროს.

***– ოპოზიცია ამბობს, რომ ისინი ღირსებას იცავენ, რადგან „ოცნებამ“ მოატყუა და პროპორციული არჩევნებისთვის იბრძვიან.***

– ღირსების დასაცავად თავიანთი ქვეყნის პოლიციას უნდა დაემუქრონ? პოლიციას, რომელიც თვეებია, სიცხესა თუ სიცივეში მათი უსაფრთხოების დასაცავად დგას. ეს პოლიციის მიმართ ღია მუქარაცაა, თუ შენ არ დადგები ჩემ მხარეს, მე გაგიკეთებ პროვოცირებასო. პოლიციამ რა მხარე უნდა დაიჭიროს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# კახა კუკავა: „ოცნება“ დღეს თუ არ დათმობს, ხვალ უკვე გვიან იქნება“

## „ცივილიზებულ სამყაროს ეშინია, რომ ამ ჩვენს პატარა ბანანის რესპუბლიკაში ერთმანეთი არ ამოვწყვიტოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

***– ბატონო კახა, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით? ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მალე სამოქალაქო დაპირისპირებაც მივიღოთ. რას იტყვით თქვენ?***

– შეუძლებელია დღევანდელ ვითარებაში რამის პროგნოზირება. ასეთ ვითარებაში, როცა არის არასტაბილურობა და ქაოსი, მხოლოდ ნაწილი ფაქტორებისა არის შიდაპოლიტიკური. რა თქმა უნდა, შიდაპოლიტიკურიც დამოკიდებულია ხელისუფლებისა და ოპოზიციის ქმედებებზე, თუმცა არის კიდევ ორი ამბავი.

***– რა ამბავი?***

– ერთი, როცა ვითარება არის ფეთქებადსაშიში, ვხედავთ, რომ ხელისუფლებამ ქუჩაში მხედრიონი გამოყარა და ყოველდღე ჩხუბი, დარბევები და ძალადობა ხდება. ეს არის დენთის კასრი, რომელიც შეიძლება უცებ აფეთქდეს. ამას ვერავინ გათვლის. შეიძლება, არც აფეთქდეს, მაგრამ დაახლოებით გავრილოვის ღამეს რაც მოხდა, ის სიტუაციაა – იმ დილით არავინ იცოდა, ღამე რა მოხდებოდა.

როდესაც ზოგადად არის ქვეყანაში ნერვული, ისტერიული ვითარება, შეიძლება, ყოველ წუთს მოხდეს ის, რასაც თქვენ ამბობთ, რისიც მეც მეშინია და ყველა ნორმალური და საღი ჭკუის ადამიანს, ვისაც ამ ქვეყანაში ცხოვრება უნდა, ყველას ეშინია, რომ ეს არ მოხდეს.

ასევე არის კიდევ ერთი ფაქტორი, საგარეო ჩარევის ფაქტორი, რომელზეც ჩვენ არც ხელი მიგვიწვდება, ინფორმაციასაც კი ჭორის დონეზე ვფლობთ და, როცა უკვე შემდგარი ფაქტია, მერე ვიგებთ ხოლმე. ის შეხვედრა, რომელიც შედგა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით. მე მსგავსი ფორმატი უკვე მრავალი წელია, არ მახსოვს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ განსაკუთრებული შეშფოთება არსებობს.

***– შეშფოთება რასთან დაკავშირებით?***

– ცივილიზებულ სამყაროს ეშინია, რომ ჩვენ ამ ჩვენს პატარა ბანანის რესპუბლიკაში ერთმანეთი არ ამოვწყვიტოთ. ეს ფაქტორი შეასრულებს გარკვეულ როლს. შესაძლოა, ეს მყისიერად არ მოხდეს, დღეს და ხვალ, მაგრამ უახლოეს ორ-სამ თვეში აუცილებლად გამოჩნდება.

***– დღეს ხშირად ავლებენ პარალელს წინა ხელისუფლებასთან, ზუსტად იმავეს აკეთებდნენ ასლან აბაშიძე და ედუარდ შევარდნაძეო.***

– ამ ჩამონათვალს უნდა დაამატოთ საააკაშვილიც. კი, შევარდნაძეც აკეთებდა ამას, აბაშიძეც, სარქისიანიც და იანუკოვიჩიც. ეს არის ავტორიტარული რეჟიმის ბოლო ჟამისთვის დამახასიათებელი თავისებურება, როცა უკანონო ფორმირებები გამოჰყავთ ქუჩაში და ძალადობით ცდილობენ პოლიტიკური პროცესების მართვას.

***– პროცესები ხელიდან ხომ არ გაექცევა „ოცნებას“?***

– ამის ზუსტად პროგნოზირება შეუძლებელია. ბევრი სხვადასხვა ფაქტორია, რომელთა დათვლაც ჩვენ არ შეგვიძლია. ერთი, რაც ზუსტად შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ რაც ახლა ხდება, დიდხანს ვერ გაგრძელდება, კვანძი აუცილებლად უნდა გაიხსნას.

***– რას იტყვით ოპოზიციის ერთობაზე? რამდენად იქნება ბოლომდე ერთიანი ოპოზიცია?***

– არანაირი ოპოზიციური ერთობა არ არსებობს. ეს მოგონილია სახელისუფლებო პროპაგანდის მიერ, რასაც საკმაოდ მოხერხებულად ამუშავებს. ოპოზიცია არის ძალიან მრავალფეროვანი და მრავალგვარი. იქ პრინციპულად შეუძლებელია, არსებობდეს რამე ტიპის ერთობა, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის ფაქტორის გამო, თუმცა სხვებიც არიან, რომლებიც ასეთ პრობლემებს ქმნიან.

ჩვენ გვაქვს უბრალოდ ერთი მოთხოვნა – ყველა ითხოვს თავისუფალ არჩევნებს. ეს არ არის ერთობა, თავისუფალი, პროპორციული არჩევნები არის ყველას მოთხოვნა. იქ რომ ჩარკვიანი ბურჯანაძეს ესხმის თავს და კიდევ ვიღაც აგრესიულ განცხადებებს აკეთებს – ეს ყველაფერი პოლიტიკური პროცესისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

დღეს თუ პროცესი ჩიხშია, ეს მარტო ხელისუფლების ბრალი არ არის. ეს ნაციონალური მოძრაობის ბრალიც არის. ის, რომ დღეს აქციები არ არის მასობრივი და არ აქვს საკმარისი მუხტი და ლეგიტიმაცია, იქ წარმოდგენილი ყოფილი ხელისუფლების ფაქტორიდან გამომდინარეობს.

***– საკმაოდ აგრესიულია ოპოზიციის ლიდერების განცხადებები. დიდი კრიტიკა მოჰყვა გუბაზ სანიკიძის, ნიკა გვარამიას განცხადებებს.***

– კი, რა თქმა უნდა, ნამდვილად ასეა. აბა მე როგორ გაგცეთ პასუხი ნიკა გვარამიას განცხადებებზე? გვარამიას განცხადებებისგან 15 წლის წინ დავიბანე ხელი, 2004 წელს გავიდა ჩვენი ფრაქციიდან.

***– ეს ხალხი ოპოზიციის სახელით ლაპარაკობს და ეს მთლიანად პროცესს აზარალებს. ასე არ არის?***

– სამწუხაროდ, ასე გამოდის, რადგან ჩვენთან ორპოლუსიანობაა, მედიაც ორადაა გაყოფილი და ეს ოპოზიციის ბრალიც არის, რომ არ ჩანს კონსტრუქციული ალტერნატივა. უბრალო ადამიანი ამბობს, კი, ბიძინა აღარ მინდა, მოჭამა თავისი, მაგრამ არც მიშა აღარ მინდაო და სხვას ვერ ხედავს.

სანამ არ გამოიკვეთება ეს სხვა, კონსტრუქციული ოპოზიცია, მანამდე პროცესი იქნება ჩიხში. ასეთი პროცესები ადრეც გვახსოვს. შევარდნაძე რომ მოსწყინდა ხალხს, აბაშიძეს მაინც არ დაუდგა გვერდში, სააკაშვილი რომ მოსწყინდათ, სანამ არ გამოჩნდა ძლიერი ალტერნატივა, არ შეიცვალა ხელისუფლება.

ახლაც არის წინასამშობიარო ტრავმები.

***– ანუ ელოდებით, რომ ალტერნატივა იქნება?***

– ბუნებისა და ისტორიის კანონია ეგ. აბა მართლა ბერას ხომ არ დაუტოვებს ამ ქვეყანას?!

***– წავა „ოცნება“ თუნდაც მცირედ დათმობაზე?***

– აი, სწორედ ამაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ხელისუფლება არ აპირებს, დაუთმოს რამე იმ აქტივისტებს, რომლებიც არიან დღეს რუსთაველის გამზირზე. ხალხის დიდი მასა რომ ყოფილიყო, იძულებულნი გახდებოდნენ, დაეთმოთ, მაგრამ არ გამოდის ეს ხალხი და რა ვქნათ.

ხელისუფლებას თავისი წამგებიანი გათვლები აქვს.

***– ჰგონიათ, რადგან ხალხი არ გამოდის, თავი ქუდში აქვთ?***

– სწორედ ასე ჰგონიათ, მაგრამ, ხალხი თუ ქუჩაში გამოცვივდა, ის მასა, რომელიც გამოდიოდა 2007-ში, 2009-ში, 2011-ში, მერე მეეჭვება, რომ ეს ხალხი მარტო საარჩევნო კოდექსის ცვლილებას დასთანხმდეს.

მოხდება ის, რაც მოხდა ერევანში. ხალხი გამოვიდა კონსტიტუციური ცვლილების მოთხოვნით, მაგრამ 24 საათში შეიცვალა ხალხის მოთხოვნები და სარქისიანი დღეს საერთაშორისო ძებნაშია.

***– მერე უკვე სხვა მოთხოვნები გაჩნდება?***

– რა თქმა უნდა. ამიტომაც, ხელისუფლებას თავისი ტყავი თუ ადარდებს, უმჯობესია, დღეს წავიდეს დათმობებზე, იმიტომ, რომ დღეს პროპორციული არჩევნები არის კომპრომისი და სიტუაციის განმუხტვა. სამი-ოთხი თვის შემდეგ პროპორციულმა არჩევნებმა შესაძლოა სიტუაცია აღარ განმუხტოს და დარჩეს ერთი ნაციონალისტური მოთხოვნა.



***– საუბრის დასაწყისში განაცხადეთ, რომ ხელისუფლებამ ყოფილი მხედრიონი გამოყარა ქუჩებში. ამან საზოგადოების ერთი ნაწილი საკმაოდ გაანაწყენა და დაგიპირისპირდნენ კიდეც. რატომ დაიმსახურეთ ასეთი რისხვა?***

– ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ როდესაც დაიწყო დარბევები და კონტრაქციები, კონკრეტულად კი ქუთაისში, დარბევას ახორციელებდნენ ყოფილი გვარდიელი, კიტოვანის ახრახაძე და კუდის ყოფილი აგენტი და ახლა სუსის აგენტი დალაქიშვილი. ეს იყო კატეგორიულად მიუღებელი და ამიტომაც ვთქვი, რომ არ შეიძლება, ის ხალხი, რომელმაც თბილისი გადაწვა და სამეგრელო ააოხრა, დღეს კიდევ ამ ტონით გველაპარაკებოდეს.

რა თქმა უნდა, მათ გამოუჩნდა თავისი კარგად ორგანიზებული ბანდა და დაგვიწყეს ლანძღვა-გინება, თურმე როგორ გავბედეთ და ვთქვით, რომ თბილისი გადაწვეს და სამეგრელო ააოხრეს. მათი ჭკუით, თურმე დიქტატორი გამსახურდია დაამხეს.

***– საპირისპირო ბრალდებებიც წამოვიდა, რომ თავად ოპოზიციას ჰყავს გუნდში ძველი მხედრიონელები.***

– ჰყავთ, კი ბატონო და ამათ ჰგონიათ, რომ ვინმეზე უკეთესები არიან?! ამ კონკრეტულ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ კატეგორიულად მიუღებელია, ქუჩაში გამოიყვანო რაღაც ბანდფორმირება, რომელიც ძალადობას განახორციელებს. ეს თუ დომინოს პრინციპითა და ჯაჭვური რეაქციით გაგრძელდა, ღმერთმა ნუ ქნას!

მე მახსოვს ის პერიოდი, სტუდენტი ვიყავი მაშინ და კარგად ვიცი, რაც ხდებოდა თბილისის ქუჩებში და არა მარტო თბილისში.

იმ ყველაფრის შედეგად, ყველაზე მეტად თვითონ მხედრიონელები დაზარალდნენ – 80% დახოცეს და 20% ციხეში ჩასვეს.

# „საქართველოში სახელმწიფოს ნგრევის მესამე სცენარი ხორციელდება"

## ანზორ აბრალავა: „პროპორციული სისტემა რომ იყოს დამტკიცებული, მაშინ შერეულს მოითხოვდნენ. ეს მოთხოვნები საბაბია ახალი რევოლუციისთვის"

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენები საზოგადოებაში ბევრ კითხვას ბადებს. ამ თემაზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას.**

***– ოპოზიციური ერთობა საპროტესტო აქციებს ატარებს დედაქალაქის გარეთ, იმავდროულად, აგრძელებს დისკომფორტის შექმნას თბილისში მყოფი დეპუტატებისათვის. საზოგადოება ამ ყველაფერს სხვადასხვანაირად უყურებს.***

– ხალხისათვის ნამდვილად გაუგებარია ისეთი აგრესიული მოქმედებები, რომლებსაც ე.წ. ოპოზიციური ერთობა მიმართავს. პროპორციული არჩევნების დაპირება რომ ვერ შესრულდა, ამის გამო ქვეყანა უნდა დაანგრიონ?! ეს ოპოზიციური ერთობა არ არის. ეს სიძულვილის იდეით გაერთიანებული დაჯგუფებაა.

ამან ეროვნული ხელისუფლება გამახსენა. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგაც გაერთიანდნენ პოლიტიკოსები და მაშინაც იყო ფორმულა „ყველა მინუს ერთი". აგრესიული რევანშის მცდელობა წინა წლებშიც ვნახეთ. ამ მცდელობის დროს რევანშისტებმა გვერდზე დაიყენეს „ნულოვანი" პარტიები. ნულს რომ ნულს მიუმატებ, ნულია. სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსული ნულოვანი პარტიების შეკრებას ორი ნული მოაქვს.

***– ფიქრობთ, რომ ისინი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიან?***

– ამაში დარწმუნებული ვარ. ეს კარგად ორგანიზებული და გარედან მართული პროცესებია. ამის ორგანიზატორები რომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიან, ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს. თუმცა ე.წ. ექსპერტები და ანალიტიკოსები ამაზე არ საუბრობენ. ახლა ხორციელდება სახელმწიფოს ნგრევისა და რევოლუციის მესამე სცენარი.

***– პირველი ორი როდის იყო?***

– მარტო ბოლოდროინდელ მოვლენებს თუ მივყვებით, პირველი სცენარის ხორცშესხმა დაიწყო ივნისში. საბაბად გამოიყენეს გავრილოვის ჩამოსვლა და მისი ჩაჯდომა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში. მა-



შინ პარლამენტში შეჭრა და ხელისუფლების ხელში აღება არ გამოუვიდათ. სამაგიეროდ, საქართველოს რუსეთმა დაადო ახალი სანქციები. იმ პერიოდს ემთხვევა გაბუნიას მხრიდან პუტინის გინება და სხვა.

კიდევ ერთი სცენარით დაიწყო დიდი შეტევა ეკლესიაზე და გარკვეული ჯგუფების ორგანიზება. ამ ჯგუფებში შედიან ნარკოტიკებზე დამოკიდებულები, პროსტიტუციით დაკავებულები, ასევე – ლგბტ-საზოგადოება. მეორე მხრივ, მრევლსაც გადასწვდნენ. სააკაშვილმა უკრაინიდან რელიგიაზე ილაპარაკა. მან თავი მორწმუნედ გამოაცხადა, ბოკერია კი – მებრძოლ ათეისტად.

მესამე სცენარი დაუკავშირეს არჩევნებსა და პროპორციულ სისტემას. რევანშისტების ამოცანა პროპორციული სისტემა არ არის. ეს კიდევ ერთი საბაბია ძალითა და ამბოხით ხელისუფლებაში მოსასვლელად.

***– ამ საბაბს ხელისუფლება იძლევა.***

– რევანშის სათავეში დგანან ის პირები, რომლებმაც მოახდინეს 2003 წლის რევოლუცია. იმ მშვიდობიანი სცენარის გამეორება უნდათ. ეს ხალხი ვერ იტანს ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს. ხომ ნახეთ, რა ამბავი ატეხა გიგი უგულავამ, საარჩევნო საკითხზე მოლაპარაკებებში აკაკი ასათიანს რა უნდოდაო! აკაკი ასათიანი პარლამენტის თავმჯდომარე იყო. საქართველო შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ზვიად გამსახურდიას, ვახტანგ ბოჭორიშვილისა და სხვა უამრავი ღირსეული ადამიანის ქვეყანაა. საქართველოში ფასობს სხვა ღირებულებები და არა ის იდეოლოგია, რომელსაც ეს რევანშისტები ავრცელებენ.

მაინტერესებს, რატომ ითვლებიან ამ სახელმწიფოში ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები ზედმეტად? რატომ არის ქვეყნის სახალხო დამცველი ერთი ჯგუფის ომბუდსმენი?

***– აღნიშნეთ, რომ ეს პროცესები გარედან იმართება.***

– გარედან იმართება. ეს ე.წ. ოპოზიციური ერთობა ასრულებს სხვების მითითებებს. პარლამენტის უმრავლესობიდან დეპუტატების გამოსვლაც დირექტივა იყო. „ქართულ ოცნებას" გარედანაც შლიან და შიგნიდანაც.

ამაში აქტიურად მონაწილეობს ხალხი, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლებას კალაშნიკოვის თოფებით ებრძოდა. ამათ უნდათ, რომ „ქართული ოცნება" ისე გაქრეს, როგორც გაქრნენ ჰელსინკის კავშირი, ბლოკი მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო და აღორძინება. მართალია, მოქალაქეთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ მოქკავშირელები არიან ნაციონალურ მოძრაობასა და მათ საძმოში. ახალგაზრდებმა არ იციან, რომ სააკაშვილი მოქალაქეთა კავშირში ერთ-ერთი ლიდერი იყო.

სხვა პოლიტიკოსები, რომლებიც გამსახურდიას უპირისპირდებოდნენ, შვილებთან ერთად ამ ხელისუფლებას ებრძვიან.

***– ამ ყველაფერში „ქართულ ოცნებას" რა როლი აქვს? ისიც ხომ ყველაფერს აკეთებს პოლარიზებისა და მუხტის აწევისთვის.***

– არ ვიცი. ვინც უმრავლესობიდან გამოვიდა, ის სცენარის მონაწილეა. „ოცნებაში" არიან პოლიტიკურად უმწიფარი ადამიანები. შეიძლება, ვინმე რევანშის სცენარშიც მონაწილეობდეს. აშკარაა ერთი ფაქტი – ბოლო შეტევები დაიწყო მაშინ, როცა გამოცხადდა ორი გლობალური ეკონომიკური პროექტის დაწყება. ერთი პროექტი ეხება წყალტუბოს განვითარებას, მეორე – ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის აშენებასა და ამუშავებას.

***– მიმდინარე პროცესებს ამ პროექტებს რატომ უკავშირებთ?***

– იმიტომ, რომ გარეთ და შიგნით არიან ძალები და ქვეყნები, რომლებსაც არ აწყობთ, საქართველო წარმატებული იყოს და გახდეს მნიშვნელოვანი ჰაბი რეგიონში.

***– სააკაშვილი აცხადებს, რომ ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, საქართველოში გამოკითხულთა 60%-ს მისი დაბრუნება უნდა.***

– ეს სრული სისულელეა. სააკაშვილს თავი სამყაროს ცენტრი ჰგონია. ჩრდილოეთ კორეაში ახლა 2019 წელი კი არა, 105 წელია. იქ წელთაღრიცხვას ახლანდელი ლიდერის პაპის, კიმ ირ სენის დაბადებიდან ანგარიშობენ. სააკაშვილი ხშირად ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია დაიწყო მისი გადაწყვეტილებებით. ახლა აკვიატებული აქვს, რომ საქართველოს მოსახლეობის მიზანი მისი დაბრუნებაა.

***– ბოლო დროს საზოგადოების კრიტიკის საგანი გახდა ნინო ბურჯანაძე. ნაწილი მას ნაციონალებთან ერთად დადგომის გამო კიცხავს, ნაწილი – მოსკოვში ჩასვლის გამო.***

– ნინო ბურჯანაძის ვიზიტებზე რუსეთში კითხვები მეც მაქვს. ბურჯანაძეს არასდროს დაუმალავს, რომ იქ დადის და დიალოგის მომხრეა. ამაზე უარესია, როცა პარტიები ხალხს ატყუებენ.

ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივად რუსეთის გინებაში არიან და ევროპა-ევროკავშირი-ნატოს-ს იძახიან, სულაც არ არიან დასავლურები. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ამ მოვლენების დროს. შესრულდა ბიბლიური ჭეშმარიტება – არა არს დამალული, რაც არა გაცხადდეს.

ეს პარტიები და პოლიტიკოსები რუსულ საქმეს აკეთებენ. არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებების დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. ისინი ახლა ე.წ. ოპოზიციურ ერთობაში არიან და პროპორციულ არჩევნებს ან გერმანულ მოდელს მოითხოვენ.

პროპორციული სისტემა რომ იყოს დამტკიცებული, მაშინ შერეულს მოითხოვდნენ. ეს მოთხოვნები საბაბია ახალი გადატრიალებისა და რევოლუციისთვის.

# ნიკა ჩიტაძე: „ოცნებას" ოპოზიციასთან პოლიტიკური ვაჭრობის მცდელობა აქვს"

## „პასუხისმგებლობა იმ მოქალაქეებსაც ეკისრებათ, რომლებმაც „ოცნებას" 2012 წელს ხმა მისცეს"

იაგო ნაცვლიშვილი

მაშინ, როდესაც ოპოზიციის აქციებს „ქართული ოცნება" კონტრაქციებს უპირისპირებს, რომელშიც ძირითადად ადმინისტრაციული რესურსი და „ოცნების" აქტივისტები მონაწილეობენ და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება, საპარლამენტო უმრავლესობის ერთი ნაწილი სრულად მაჟორიტარული სისტემის შემოღებასა და ორპალატიანი პარლამენტის მიღებას ითხოვს.

გავრცელებული ცნობებით, ამან მმართველ გუნდში დაპირისპირება გამოიწვია. ხმაური იყო მამუკა მდინარაძეს, დიმიტრი ხუნდაძესა და სხვებს შორის. კულუარებში საუბრობენ იმაზეც, რომ შესაძლოა საქმე იქამდეც მივიდეს, რომ უმრავლესობა მისმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ დატოვოს.

აღნიშნულ საკითხებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** აფასებს.

***– ვხედავთ, როგორ დაძაბული ფონია ქვეყანაში აქციებისა და კონტრაქციების ფონზე და ამ ვითარებაში დეპუტატების ნაწილი სრულად მაჟორიტარული სისტემასა და ორპალატიან პარლამენტს ითხოვს. რა შეფასებას გააკეთებთ ამასთან დაკავშირებით?***

– როდესაც ოპოზიცია ითხოვს „გერმანულ მოდელს" და ამ დროს „ქართული ოცნება" გაიძახის, რომ ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ა.შ. ეს არის ხელისუფლების მხრიდან ორმაგი სტანდარტებით მოქმედება.

ორპალატიანი პარლამენტის ფუნქციონირება ამ შემთხვევაში დღევანდელ დღეს ეწინააღმდეგება მოქმედ კონსტიტუციას. საუბარია იმაზე, რომ საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ არის შესაძლებელი. როდესაც აღდგება ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ, კი, ბატონო და მაშინ შეიძლება არსებობდეს ქვედა პალატა და ზედა პალატა ანუ სენატი.

სამწუხაროდ, ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი ჯერ არ არის, ამიტომაც აღნიშნული ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. უბრალოდ, ეს სჭირდება ხელისუფლებას იმისთვის, რომ აი როგორ შეუძლიათ უარესის გაკეთება. გზავნილია ეს, შევთანხმდეთ შერეულ სისტემაზე, თორემ შეგვიძლია 200.000 ხელმოწერის შეგროვება, მერე კი ინიცირების გაკეთება, რომ სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადავიდეთ, თორემ ოპოზიციის წარმომადგენლები საერთოდ ვერ მოხვდებით პარლამენტში და დაკმაყოფილდით ამ სისტემითო.

***– ანუ პოლიტიკურად ვაჭრობენ?***

– სურვილი აქვთ. აქეთ გაღმა შეედავეს პრინციპია. ეგ არის მთავარი მიზეზი. პოლიტიკურ ვაჭრობას აწარმოებენ, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. ცუდია შერეული სისტემა, ხოლო უარესი – წმინდა მაჟორიტარული სისტემა, თუმცა, ვიმეორებ, ამ უკანასკნელის მიღებისთვისაც 2/3-ის ხმებია საჭირო, ხოლო ორპალატიანი პარლამენტი მოქმედ კონსტიტუციას საერთოდ ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება აქციებსა და კონტრაქციებს, რა თქმა უნდა, აღნიშნული იწვევს დიდ შეშფოთებას და ასე მგონია, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციის აქციებს კონტრაქციები კი არ უნდა დაუპირისპიროს, არამედ უნდა მიხედოს მოსახლეობას.

ივანიშვილმა რამდენჯერმე გასცა დაპირება, მათ შორის შარშან მეორე ტურის წინ, რომ გამოასწორებს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ-სოციალურ ვითარებას და გააკეთოს ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაქციების გამართვით ქვეყანა ვერ განვითარდება და პირველ რიგში ხელისუფლებას დაეკისრება პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.



***– როდესაც ხელისუფლება ოპოზიციას საყვედურობს, რომ მათი აქციები ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას ამ ფონზე, როდესაც კონტრაქციაზე გამოსული პირები ადმინისტრაციული სამსახურების თანამშრომლები არიან და პირდაპირ ხელისუფლებისგან არიან მართულები, ეს აღარ უშლის ხელს განვითარებას და ამაში არ ჩანს ორმაგი სტანდარტი?***

– კი ბატონო, მე მეტსაც გეტყვით, რამდენიმეჯერ გამოიყვანა ადრეც ადმინისტრაციული სამსახურების თანამშრომლები, თითქოს მოსახლეობა გამოდიოდა. ჯერ კიდევ 2013 წელს მოხდა 53 გამგეობაში უკანონოდ შეჭრა „ქართული ოცნების" წარმომადგენლების მხრიდან.

ივანიშვილი მაშინ ჯერ კიდევ პრემიერი იყო და განაცხადა, რომ ხალხი არ იყო გათვითცნობიერებული და პარლამენტში შესვლა გამგეობების შეცვლაც ეგონათ. პოლიცია ხომ იყო გათვითცნობიერებული, რომ ადმინისტრაციული შენობები უნდა დაეცვა, რაც არ მოხდა.

2015 წელს კი ნაციონალური მოძრაობის 19 ოფისზე განხორციელდა თავდასხმა და ღარიბაშვილმა გვითხრა, ნაცმოძრაობამ საკადრისი პასუხი მიიღოო. იყო კორცხელის ინციდენტი და ა.შ. აღნიშნული ქმედებები, რა თქმა უნდა, ლახავს საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟს. როცა ძალადობის ფაქტები ხდება, ეს არის ძალიან მძიმე საყურებელი.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ბოდიში და აღნიშნულ ქმედებაში მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მოსახლეობის ნაწილს, რომელმაც 2012 წელს არჩევანი „ქართული ოცნების" სასარგებლოდ გააკეთა.

***– თუმცა მაშინ ხალხმა არ იცოდა, რას გააკეთებდა ივანიშვილი და წინასწარ ძალიან ძნელია, გააცნობიერონ ადამიანებმა, რა შეიძლება მოხდეს.***

– კი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იქამდე იყო ცნობილი ივანიშვილის განცხადება, რომ ომი საქართველომ დაიწყო. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა გარკვეული დასკვნების გაკეთება.

***– მაშინ იყო კოალიცია, რომლის სუბიექტები იყვნენ ლიბერალური პარტიებიც.***

– ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ამით ქვეყანა ვერ განვითარდებოდა. ამაზე ეჭვი მაშინვე მქონდა. რადგანაც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მეძახდნენ, ნაციონალების აგენტს, მონას, თითქოს მოსყიდული ექსპერტი ვიყავი და ა.შ. როდესაც მოთხოვნა არის, რომ არაფერი აკეთო და უფასო ფული მიიღო, მთლად კარგი არ არის. გურიაში იყო ასეთი ხუმრობა: „ახლა მოვა ბიძინაო, ჭამე, სვი და იძინეო". როდესაც შრომის მოთხოვნა არ გაქვს და მხოლოდ და მხოლოდ ვიღაცის ფულის მოთხოვნა გაქვს, სამწუხაროა.

***– საარჩევნო მოდელს დავუბრუნდეთ. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება, რომ დაპირისპირებაა „ქართულ ოცნებაში" და, შესაძლოა, მამუკა მდინარაძემაც კი დატოვოს უმრავლესობა. ეს დაპირისპირებად უნდა განვიხილოთ თუ სპექტაკლის ნაწილად?***

– არ ვიცი, გამორიცხული არაფერი არ არის. ბევრმა ადამიანმა, მათ შორის განათლებულმა ნაწილმა, უკვე დატოვა უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, ორივე ვერსია შეიძლება იყოს მართალი, მაგრამ, არა მგონია, თამაშის ნაწილი იყოს. ზოგიერთს არ სურს ამის მიღება, მაგრამ ეს არ არის თამაში, ეს გადაწყვეტილება ზოგიერთისთვის მიუღებელია.

***– ეს „ოცნების" გემის ჩაძირვას ხომ არ მიანიშნებს?***

– ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ „ქართული ოცნება" მნიშვნელოვნად სუსტდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ოპოზიციაც არ არის ბოლომდე ერთიანი, იგივე ნაციონალური მოძრაობა არ მუშაობს საკმარისად. მაგალითად, მოსახლეობა უნდა დაარწმუნონ, რომ რეალურად ჭორი იყო ის, რასაც ავრცელებდა „ქართული ოცნება". მხედველობაში მაქვს ის ჭორები, რომ თითქოს სანდრა რულოვსი ხან ორგანოებით ვაჭრობდა, ხან ხალხს აუპატიურებდნენ, თითქოს რაფალიანცი მოკლეს ნაციონალებმა და ა.შ. დარღვევები რომ იყო იმ ხელისუფლების დროს, ფაქტია, მაგრამ ბევრი რაღაცა გაბერილი იყო და ესეც ფაქტია, იმავე ციხის კადრების გავრცელებას ვინ უწყობდა ხელს და ა.შ.

ამიტომ არის ის რეალობა, რომ თუნდაც უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით „ქართული ოცნების" რეიტინგი შეადგენს 23%-ს, ნაციონალური მოძრაობისა – 15%-ს, ხოლო ევროპული საქართველოს რეიტინგი 7%-ია, ანუ, საერთო ჯამში, ჩანს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არც „ქართული ოცნება" უნდა და არც ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ ოპოზიციამ ამაზე უნდა იმუშაოს და დაარწმუნოს მოსახლეობა, როგორ სწამებდნენ ცილს ხშირ შემთხვევაში და აუხსნას საზოგადოებას, დღეს როგორ ცდილობს ივანიშვილი ძალაუფლების შენარჩუნებას, როდესაც ნაციონალებით აშინებენ, თითქოს ისევ დაიწყება გაუპატიურება და ა.შ. ბევრ ადამიანს ეს სჯერა.

სამწუხაროდ, მხოლოდ გირგვლიანის საქმეზე საუბრობენ, მაგრამ არ საუბრობენ რაფალიანცის მკვლელობის საქმეზე. იგივე 21 წლის ბიჭი რომ მოკლეს, პარლამენტარის შვილი გორის გვირაბთან, რომელიც, სხვათა შორის, „ქართული ოცნების" წევრის შვილი იყო, რომელიც პოლიციას არ დაემორჩილა. ასევე ქუთაისში მოხდა პოლიციელის მიერ ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობა, რომელიც არ დაემორჩილა პოლიციელის ბრძანებას გაჩერების შესახებ. მაჩალიკაშვილის საქმე ცალკეა საერთოდ.

გირგვლიანის საქმეზე იყო შემთხვევა, როდესაც ის რესტორანში სუფრის წევრებთან მივიდა და შეურაცხყოფა მიაყენა, ამიტომ საცემრად წაიყვანეს და მოკლეს. ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დადგენილი, განზრახ მკვლელობა მოხდა თუ რა. სამი წელი ადამიანები სასჯელს იხდიდნენ, მაგრამ იმავე მაჩალიკაშვილის საქმეზე არავის უგია პასუხი, ეს მაშინ, როცა მძინარე ადამიანი მოკლეს.

აქედან გამომდინარე, ამ თემებთან დაკავშირებით თუ არ იმუშავა ნაციონალურმა მოძრაობამ, მოსახლეობის ნაწილში ისევ იქნება განცდა, რომ არც „ოცნება" მინდა და არც ნაციონალური მოძრაობა, თუმცა საკუთარი სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს ნაცმოძრაობას, გარკვეული ელექტორატი ჰყავს „ქართულ ოცნებასაც", ძირითადად – ადმინისტრაციული რესურსის წარმომადგენლები.

# „აი, რას გვიკეთებენ რუსი „მეგობრები“

## კრემლის ჯაშუშები კვლავ სკანდალში გაეხვივნენ

ახლახან იუთუბში ვიდეოჩანაწერი გამოქვეყნდა, რომელშიც ჩანს, რომ ბელგრადში არსებული რუსეთის საელჩოს თანამშრომელი სერბეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომელს დიდძალ ფულს გადასცემს. ბალკანური მედიის ცნობით, ვიდეოკადრებზე ბელგრადში რუსეთის სამხედრო ატაშეს ყოფილი მოადგილე გეორგი კლებანია აღბეჭდილი.

ვიდეოკადრების ავთენტურობა სერბეთის სადაზვერვო სამსახურმა „ბია“-მ უკვე დაადასტურა. სერბეთის პრეზიდენტმა ვუჩიჩმა ქვეყნის სპეცსამსახურებს ამ ვიდეომასალასთან დაკავშირებით ოფიციალური გამოძიების დაწყება დაავალა.

ბუნებრივია, ეს ჯაშუშური სკანდალი ბალკანური მედიის ნომერ პირველი თემა გახდა. მით უმეტეს, რომ ეს ვიდეო სერბეთის პრეზიდენტის რუსეთში ოფიციალურ ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე გასაჯაროვდა. ალექსანდრ ვუჩიჩი ამ დღეებში სოჭში ვლადიმერ პუტინს შეხვდა და ორმხრივი ურთიერთობების შესახებ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მისმა ვიზიტმა სწორედ ჯაშუშური სკანდალის ფონზე ჩაიარა.

### რა არის აღბეჭდილი ვიდეოში

იუთუბის ანონიმმა მომხმარებელმა განათავსა ვიდეოჩანაწერი, სადაც ავტოსადგომზე ორი მამაკაცის შეხვედრაა ასახული. ერთ-ერთი მათგანის სახე დაფარულია, ხოლო მეორის სახე მკაფიოდ ჩანს. ვიდეოს ახლავს წარწერა: „რუსები სერბეთს ქრთამავენ. ამ ვიდეოში გრუ-ს ოფიცერი, პოლკოვნიკი გიორგი ვიქტორის ძე კლებანი, თავის სერბ აგენტს, მაღალი თანამდებობის პირს, ფულს უხდის. კლებანი მუშაობს რუსეთის საელჩოში ბელგრადში. აი, რას გვიკეთებენ რუსი „მეგობრები“.

ვიდეოში ჩანს, რომ სავარაუდო რუს ოფიცერს თეთრი ჩანთა მოაქვს, შემდეგ ორი მამაკაცი ერთად სვამს ლუდს, ხოლო ამის მერე ხდება ჩანთის გადაცემა „სერბი აგენტისთვის“. ის კლებანს სანაცვლოდ წითელ ჩანთას გადასცემს, რომლის შიგთავსი უცნობია. ამის შემდეგ სავარაუდო სერბი აგენტი მიღებული ჩანთიდან ბანკნოტების დასტას იღებს და თვლის.

### საიდან არის ცნობილი, რომ ვიდეოზე ნამდვილად გრუ-ს ოფიცერია?

სერბეთის უსაფრთხოებისა და ინფორმაციის სააგენტოს „ბია“-ს ანალიტიკური მართვის ხელმძღვანელმა რელია ჟელსკიმ განაცხადა, რომ რუსი ოფიცრის ვინაობა დადგენილია. კითხვაზე, თუ ვინ არის მეორე პირი, პასუხს თავი აარიდა. ამ ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს.

ვიდეო, რომელიც იუთუბში გავრცელდა, ბულგარელმა ჟურნალისტ-გამომძიებელმა ხრისტო გროზევმა შეისწავლა. იმ მამაკაცის გამოსახულება, რომელიც მეორე პირს ჩანთას გადასცემს, მან სერვისის Microsoft Azure-ის მეშვეობით გააანალიზა. პროგრამამ დაადასტურა, რომ ჩანაწერსა და ბელგრადში რუსეთის საელჩოს საიტზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ ფოტოებზე ერთი და იგივე ადამიანია – გეორგი კლებანი.

სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუდასტურა რადიო „თავისუფალ ევროპას“, რომ კლებანი ბელგრადში რუსეთის სამხედრო ატაშეს მოადგილედ მუშაობდა, მაგრამ სამსახურიდან 2019 წლის ივნისში დაითხოვეს. გროზევმა თავის „ტვიტერში“ დაწერა, რომ კლებანის საცხოვრებელი მისამართი მოსკოვში გრუ-ს აკადემიის მისამართს ემთხვევა, ხოლო მისი მეუღლის საცხოვრებელი ადგილი იმ სპეცრაზმის ბაზაზე მდებარე საერთო



საცხოვრებელია, სადაც განთავსებულია „გრუ“-ს საწვრთნელი პოლიგონი ჩასანერგი ჯაშუშებისთვის.

წელს ხრისტო გროზევმა ევროპული პრესის კონკურსის მთავარი პრემია კატეგორიაში „ჟურნალისტური გამოძიებები“ მიიღო. ის იმ პუბლიკაციისთვის დააჯილდოვეს, რომლითაც სკრიპალების მოწამვლაში ბრალდებულების ანატოლი ჩეპიგასა და ალექსანდრე მიშკინის გამოვლენა მოხდა. ჟურნალისტი-გამომძიებელი გროზევი აღნიშნავს, რომ კლებანი სერბეთში 2016-2019 წლებში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, მისი წასვლა ქვეყნიდან მოულოდნელი და დაუგეგმავი იყო. აი, რას წერს ახლა გროზევი: „მე მისი შვილის გვერდი ვიპოვე სოციალურ ქსელებში. ამ წლის აგვისტოში მას სერბი მეგობრები მიმართავდნენ კითხვით: „როდის დაბრუნდები ბელგრადში?“ მან სერბულად უპასუხა – „ვშიშობ, რომ არასდროს“.

ამას გარდა, კლებანის შესახებ უტყუარი ინფორმაცია წამყვანმა სერბულმა გაზეთმა „ბლიცმა“ შეაგროვა. გაზეთის თანამშრომლებმა ვიდეოკადრებისა და ფოტოების ნუსხა მოაგროვეს, სადაც გეორგი კლებანი რუსეთის სამხედრო ატაშეს მოადგილის რანგში სხვადასხვა ოფიციალურ ღონისძიებაში მონაწილეობდა. ერთ-ერთ მათგანში იგი სამამულო ომში დაღუპულებს პატივს მიაგებდა და 9 მაისს მემორიალთან ყვავილები მიიტანა. ეს ვიდეო 2018 წელს ბელგრადის ახლოს, ზემუნის მუნიციპალიტეტში ყოფილა გადაღებული.

როგორც ჩანს, იუთუბზე გასაჯაროებული ვიდეო სწორედ იმ პერიოდშია გადაღებული, როდესაც კლებანი სერბეთში იმყოფებოდა და აქტიურად „საქმიანობდა“.

### რა რეაქცია ჰქონდა სერბეთის ხელისუფლებას და როგორია კრემლის პასუხი

თუ რამდენად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა სერბეთის ხელისუფლება, ამაზე ქვეყნის პირველი პირების მოქმედებები მეტყველებს – ვიდეოს გასაჯაროებიდან რამდენიმე დღეში სერბეთის პრეზიდენტმა ვუჩიჩმა რუსეთის ელჩი ოფიციალური ვიზიტით მიიღო, თუმცა მათი საუბრის დეტალები უცნობია. ამავე დროს, სერბეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ნებოიშა სტეფანოვიჩი მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელ ნიკოლაი პატრუშევს შეხვდა ოფიციალურად. უცნობია, ეხებოდა თუ არა მათი საუბარი რუსი ჯაშუშების თავგასულობას სერბეთში. სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ანა ბრნაბიჩმა განაცხადა, რომ უკვე შეხვდა პრეზიდენტ ვუჩიჩს ამ ინციდენტის განხილვის მიზნით. „თუ კი ეს ყველაფერი მართალია, მაშინ ეს სერიოზული პრობლემაა“, – განაცხადა პრემიერმა.

კრემლის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტების შეკითხვაზე საპასუხოდ განაცხადა, რომ იმედი აქვს, ინფორმაცია გრუ-ს თანამშრომლების მიერ სერბეთის ოფიცრების შესაძლო გადაბირების შესახებ არ გააფუჭებს მოსკოვსა და ბელგრადს შორის სიახლოვეს. პესკოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვსა და ბელგრადს შორის ურთიერთობები იმდენად „პარტნიორული, ძმური, მოკავშირულია“, რომ მათზე ვერაფერი იმოქმედებს.

იგივე და ძალიან ამაყი გამომეტყველებით გაიმეორა მარია ზახაროვამაც. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ მათ სჭირდებათ იმ ვიდეოჩანაწერის ნამდვილობის უტყუარი მტკიცებულებები, რო-



მელშიც თითქოს და „მზვერავის“ მიერ ფულის გადაცემაა აღბეჭდილი.

ბალკანური მედია იუწყება, რომ სერბეთის პრეზიდენტი ვუჩიჩი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დელიკატური ბალანსის დაცვას ცდილობს. ის ინარჩუნებს სურვილს, შეუერთდეს ევროკავშირსა და ნატოს, მაგრამ, ამავე დროს, სურს, შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან. სერბეთს აქვს ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება იმ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან, რომელიც მოსკოვის მიერ არის შექმნილი. ასევე, მოსკოვი უარს ამბობს კოსოვოს აღიარებაზე და თანაც სერბეთის სამხედრო შეიარაღების, იაფი გაზის მიწოდებას უზრუნველყოფს. თუმცა, ამავე დროს, პრეზიდენტი ვუჩიჩი მუდამ ამბობს, რომ სერბეთის მომავალი ევროპაშია. შარშან მან „გარდიანს“ შემდეგი უთხრა: „ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან და არ გვაქვს მასთან პრობლემები, მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით ჩვენს გზაზე ევროკავშირისკენ“.

2019 წლის იანვარში პრეზიდენტი ვუჩიჩი ძალიან თბილად და ხელგაშლილად შეხვდა პუტინს ბელგრადში და სამახსოვროდ საყვარელი ლეკვი აჩუქა. ვლადიმერ პუტინმა და ალექსანდრ ვუჩიჩმა სიმბოლურად დაასრულეს იესო ქრისტეს მოზაიკის სამუშაოები, რომელიც ბელგრადში წმინდა სავას ტაძარში უნდა განთავსებულიყო.

ახლა რა სიმბოლურად და ცინიკურად ჟღერს რუსეთის პრეზიდენტის მაშინ ნათქვამი სიტყვები, ასეთ რამეს ჩვენ ანგარების გარეშე ვაკეთებთო.

მართალია, პუტინი სერბული ტაძრისთვის იესო ქრისტეს მოზაიკას „უანგაროდ“ ალამაზებდა, მაგრამ რეალურად მისი ხელისუფლება იმდენად ანგარებიანად, უპატივცემულოდ და მავნებლურად ექცევა პარტნიორ ქვეყნებს, რომ ამაზე მეტი წარმოუდგენელიც კია. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ გრუ-მ სწორედ სერბეთი და სერბეთის მოქალაქეები გამოიყენა 2016 წელს, მეზობელ მონტენეგროში მთავრობის დამხობის ორგანიზებისთვის. რუსეთის დაზვერვის ოფიცრებმა სერბი ნაციონალისტები გადაიბირეს, ბელგრადში ჯაშუშურ შეხვედრებს ატარებდნენ და იქიდან გეგმავდნენ მონტენეგროში არჩევნების დღეს პარლამენტში შეჭრას, მონტენეგროს პრემიერ-მინისტრის ლიკვიდაციასა და ქვეყანაში აჯანყების მოწყობას. საბედნიეროდ, ეს სასტიკი და დანაშაულებრივი გეგმა გაიშიფრა, ჩავარდა, შეიარაღებული ჯგუფის წევრები დააპატიმრეს. რუსი ჯაშუშები დაუსწრებლად გაასამართლეს. მონტენეგროს სპეციალური პროკურატურის დასკვნით, სახელმწიფო გადატრიალების მიზანი ნატო-ში ამ ქვეყნის გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა იყო.

რუსეთის ხელისუფლების თავგასულობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც სულ რაღაც 1 თვის წინ დაფიქსირდა. ოქტომბერში ბულგარეთის სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ სოფიაში მოქმედი რუსეთის ფედერაციის საელჩოს პირველი მდივანი „გრუ“-ს ფარული ოფიცერია და ის არის მოქმედი ჯაშუში. ვლადიმერ რუსიაევი ბულგარეთის მთავრობის წევრების გადაბირებას ცდილობდა. რუსი ჯაშუში მათ სახელმწიფო საიდუმლოებების, ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის, ნატოსა თუ სხვა ქვეყნების შესახებ გასაიდუმლოებული ინფორმაციის მოწოდებას ითხოვდა.

ასე რომ, რამდენიც არ უნდა აჩუქონ პუტინს ლეკვები თუ პითონები, ახატვინონ ხატები თუ უმღერონ დითირამბები, მისი ტაქტიკა და განზრახვები არ შეიცვლება; რუსეთის დაპირებების, პარტნიორული შეთანხმებების თუ ჩარჩო ხელშეკრულებების ნდობა არ შეიძლება, კრემლი ყოველთვის დააყენებს სხვის უსაფრთხოებასა თუ კეთილდღეობას საფრთხის წინაშე, რათა საკუთარი ინტერესი დაიკმაყოფილოს.

ის მუდამ ეცდება, გააძლიეროს თავისი გავლენები და სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში უხეში ჩარევაც არ ეთაკილება.

**ლევან გვანცელაძე**

# ხათუნა ხოფერია: „ოპოზიციას ვინ ეკითხება, „ოცნება“ მესამე ვადით მოვა თუ არა?“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ყველაფერი დაიწყო იმით, რომ პარლამენტში ჩავარდა პროპორციული წესით არჩევნების ჩატარების პროექტი.***

– არა, მაგით არაფერი დაწყებულა. ზოგადად, პარლამენტი იმისთვის არის, რომ ნებისმიერ საკითხზე კენჭისყრა ჩატარდეს. პროექტის ჩავარდნა ჩვეულებრივი მოვლენაა. როდესაც დეპუტატები რაღაც პროექტს არ იზიარებენ, მათ კანონი აძლევს იმის უფლებას, მხარი არ დაუჭირონ ან თავი შეიკავონ. კანონის ჩავარდნა არ შეიძლება გახდეს აურზაურის მიზეზი.

პოლიტიკოსები ამბობენ, არ გვინდა, ბატონო, პროპორციული სისტემაო. 100 წელი არ მაინტერესებს, მიშას რა უნდა ან ბიძინას რა უნდა, არ მინდა და არ მივეცი ხმა, რაც დეპუტატის უფლებაა. შენ ქუჩაში რომ გამოდიხარ, ამით დეპუტატს რას ეუბნები? ეს არის მისი კონსტიტუციური უფლება. როგორც უნდა გივია თარგამაძეს, გიგა ბოკერიასა და გიგა ბოკერიას ცოლს, ისე უნდა მოიქცეს დეპუტატი? ვერ გავიგე.

***– არ უნდათ, „ოცნება“ მესამე ვადით მოვიდეს ხელისუფლებაში.***

– მათ ვინ ეკითხება, „ოცნება“ მესამე ვადით მოვა თუ არა? ეს ხალხის გადასაწყვეტია. მათ იმდენი ხალხიც ვერ გამოიყვანეს, ანგარიშგასაწევი ყოფილიყო. გადახედეთ სოციალურ ქსელს, თქვენს რესპონდენტებს, ადამიანების გაცილებით მეტი რაოდენობა ამბობს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, შერეული სისტემა იქნება თუ პროპორციული.

ოპოზიციამ ხალხი ვერ გამოიყვანა. იყვნენ ლიდერები, მათი ოჯახის წევრები, მათი ცოლები, მათი შვილები, მათი საყვარლები და პარტიის აქტიური წევრები. რა უნდათ და როგორ უნდათ, მათ ჭკუაზე უნდა იაროს ქვეყანამ? მე, ხათუნა ხოფერია, რომელსაც ჩემი ბიოგრაფია მაქვს და ამდენი წელია, პოლიტიკაში ვარ, გეუბნებით, არ მინდა პროპორციული სისტემა.

***– რატომ არ გინდათ პროპორციული სისტემა?***

– პროპორციული სისტემა საარჩევნო სისტემებს შორის ყველაზე არადემოკრატიულია. ეს არის სისტემა, რომლის პირობებშიც საქართველოს პარლამენტს არ ეყოლება დამოუკიდებელი დეპუტატი, პარლამენტის ტრიბუნიდან ველარ მოვისმენთ თავისუფალ სიტყვას. დამოუკიდებელი, თავისი ხალხის ჭკუით მოაზროვნე დეპუტატი აღარ იარსებებს. იქნებიან მხოლოდ ბურჯანაძის, ივანიშვილის, ბოკერიასა და სააკაშვილის ჭკუით მოაზროვნე დეპუტატები. ასეთი პარლამენტი არ მინდა. მათი აზრები მოსმენილი მაქვს.

***– გვახსოვს, სააკაშვილის პარლამენტი როგორი მორჩილებით გამოირჩეოდა. შეიძლებოდა, კანონი ერთ ღამეში შეეცვალათ და მეორე დღეს „მაცნეშიც“ კი გამოექვეყნებინათ. ამიტომ ახლანდელ ოპოზიციას ვერ წარმოუდგენია, მმართველი პარტიის დეპუტატი ბიძინა ივანიშვილის ნებას არ დაემორჩილოს.***

– მათ მართლა ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება, ასეთი რაღაც მოხდეს. სააკაშვილის დროს იყვნენ დეპუტატები, რომლებსაც საერთოდ არაფერს ეკითხებოდნენ. მათ ნაცვლად ხმასაც თვითონ აძლევდნენ. ნაცების პარლამენტში ასეთი იყო 99%. ამიტომ ჰგონიათ, რადგან ბიძინამ თქვა, პროპორციული სისტემა იქნებაო, კაციშვილი ვერ გაუბედავდა, კულუარულად მოლაპარაკებოდა სხვა მაჟორიტარ დეპუტატებს და კენჭისყრის დროს ფაქტის წინაშე დაეყენებინა, რომ არ აძლევს ხმას და მორჩა.

დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, მეც იმავენაირად მოვიქცეოდი, არ მივიღებდი კენჭისყრაში მონაწილეობას იმისათვის, რომ მაჟორიტარული სისტემა გაუქმებულიყო. ყველაზე დიდი დანაშაულია („ოცნების“ უმრავლესობის წევრებიც კვერს უკრავენ), მაჟორიტარიზმის ინსტიტუტს დაუმსახურებლად რომ შეურაცხყოფენ. ვინ მისცა მათ ამის უფლება?!

იცით, რამდენი ღირსეული მაჟორიტარი ჰყოლია საქართველოს? თამაზ მეჭიაურმა კენჭი რომ იყარა, არ დაუპირისპირდა „ქართული ოცნება“? და რა ქნეს? მოსჭამეს ფეხები თამაზ მეჭიაურს? თამაზი ყოველთვის იყო მაჟორიტარი დეპუტატი თიანეთიდან. მაგისთანა დეპუტატები კიდევ იყვნენ.

ნაცები თვითონ არჩევდნენ ისეთ დეპუტატებს, როგორიცაა ენძელ მკოიანი, რომელიც ნაცმოძრაობის დეპუტატი იყო და „ოცნებამ“ გადმოიბირა. მაგის გამო მაჟორიტარების ლანძღვა არ შეიძლება.

***– ოპოზიციის გაერთიანებაზე რას ფიქრობთ? ამ თემამ ისინი ერთად დასხა.***

– მათგან ძალიან ბევრი ვილაცის ამბიციის მსხვერპლია. ისინი ვილაცამ დაარწმუნა, რომ ეს თემა იყო ამოწურული, ბიძინა ივანიშვილი აპირებდა წასვლას. მას ევროპული სტრუქტურებიდან არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონდა. საჭირო იყო ქუჩაში გამოსვლა და ყველაფერი დასრულდებოდა. ეგენი პოლიტიკაში ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის კი არა, საკუთარი ინტერესებისთვის არიან. ამიტომ საკუთარ თავებს გადააფურთხეს, საკუთარ სახეს შეაფურთხეს სარკეში, გავიდნენ და ნაციონალებთან დადგნენ იმის გამო, რომ პატარა ტორტის ნაჭერი შეხვდეთ. ასეა შექმნილი ეს გაერთიანება.

***– ბიძინა ივანიშვილს ევროპის მხარდაჭერა აქვს?***

– ყველაფერი გამოკვეთილია. არანაირი პრობლემა არ არის. მოიწვიეს, დასხდნენ, ისაუბრეს დიალოგის ფორმატში. იქ მოსალაპარაკებელი არაფერი იყო. დიალოგი გაიმართა და არანაირი მწვავე განცხადება, არანაირი მითითება არ მიუციათ, გინდა თუ არა, პროპორციული არჩევნები ჩაატარეო. ევროპულ სტრუქტურებს ბევრად უკეთესი ექსპერტები ჰყავთ, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია და ბევრად მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე ჩვენ გვგონია.

***– ოპოზიციონერები ვილაცამ დაარწმუნაო. ვინ დაარწმუნა?***

– არ ვიცი. ვილაცამ დაარწმუნა, ვილაცამ სერიოზულად იმუშავა, იმედი მისცა, ერთად შეკრიბა, ქუჩაში გამოიყვანა, თავისი პოზიცია დააფიქსირებინა და, ეტყობა, აქტიურად უდგას სათავეში მათ დამკრძალავ კომისიას.

***– ხშირად მესმის, მესამე ვადით არც ერთი ხელისუფლება არ დარჩენილა და „ოცნება“ რატომ უნდა დარჩესო.***

– ზვიად გამსახურდია საერთოდ 10 თვე იყო ხელისუფლებაში.

***– შევარდნაძე კი – 30 წელი.***

– ამიტომ ეს სისულელე და იდიოტიზმი არ წერია არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში. ბიძინამ გარკვევით თქვა, რომ 20-30-მდე ამ ქვეყანას დაალაგებს.

***– ნინო ბურჯანაძის რუსეთში შვილთან ერთად ვიზიტზე რას იტყვით?***

– ნინო ბურჯანაძეს დიდი ხანია ვიცნობ, 26 მაისის აქციის მონაწილეც ვარ. ნინოს მიმართ ჩემი დამოკიდებულება მაქვს. მის ბიოგრაფიას წითელ ხაზად გასდევს ასეთი მომენტი – მისი კარიერის, მისი პარტიის, მისი პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის არასწორ გადაწყვეტილებას იღებს.

# ლუკაშენკო: „ბელარუსი რუსეთის ნაწილი არასდროს გახდება“



ბელარუსში არავინ აპირებს, დათმოს ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა.

– ჩვენ არც არასდროს გვინდოდა და არც ვაპირებთ, რომელიმე ქვეყნის შემადგენელი ნაწილი გავხდეთ, მათ შორის არც მოძმე რუსეთის, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ბელარუსი სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყანაა, რითაც ყველამ უნდა იამაყოს.

– ერთი რამ დაიმახსოვრეთ, მე ახლად მოსული არ ვარ. არ მსურს, ყველა ის მიღწევა, რომლებიც თქვენთან ერთად გვაქვს მოპოვებული, გავანადგუროთ. ჩვენ ავაშენეთ სუვერენული და თავისუფალი სახელმწიფო და ამას ვერავის მივცემთ. ეს არ მოხდება მანამ, სანამ მე აქ ვარ. ეს ჩვენი ქვეყანაა. ჩვენ ვართ სუვერენული და დამოუკიდებელი და ამით ყველამ უნდა იამაყოს, – განაცხადა ლუკაშენკომ.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2019 წლის 8 დეკემბრისთვის ბელარუსი და რუსეთი გეგმავენ, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ.

როგორც ბელარუსის ელჩმა რუსეთში ვლადიმირ სიამაშკამ განაცხადა, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ და მისმა რუსმა კოლეგა ვლადიმერ პუტინმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ორ ქვეყანას ერთიანი მთავრობა და პარლამენტი ეყოლება.

# საფრანგეთის ალპებში რუსი ჯაშუშების ბაზა აღმოაჩინეს

ფრანგული „ლე მონდი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ალპებში რუსი ჯაშუშების ბაზა აღმოაჩინეს. როგორც გამოცემა წერს, 15 რუსი ჯაშუში სწორედ საფრანგეთის ალპებიდან აწყობდა ოპერაციებს მთელ ევროპაში.

„ლე მონდის“ მტკიცებით, ჯაშუშები რუსეთის სამხედრო დაზვერვის ელიტური ქვედანაყოფის თანამშრომლები არიან.

სტატიაში ნათქვამია, რომ აღნიშნულ ბაზაზე მომუშავე პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ შეკვეთილ მკვლელობებზე, საბოტაჟის აქტებზე და ე.წ. მკვდარი საფოსტო ყუთების სისტემის მუშაობაზე, რომლითაც საიდუმლო აგენტები ერთმანეთს ეკონტაქტებიან.

როგორც იუწყებიან, რუსი ჯაშუშებიდან ერთ-ერთი სოლსბერიში სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის საქმესთან არის დაკავშირებული. ევროპის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა საფრანგეთის ალპებში მდებარე რუსი ჯაშუშების ბაზა სწორედ სკრიპალების საქმის გამოძიების ფარგლებში აღმოაჩინეს.

2014-დან 2018 წლამდე რუსი ჯაშუშები საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე არაერთ პატარა ქალაქში შენიშნეს, მათ შორის, შამონსა და ევიანში.

როგორც ფრანგული გამოცემა წერს, აღნიშნული პირები მუშაობდნენ ბულგარეთში, მოლდოვაში, მონტენეგროსა და სხვა ქვეყნებშიც.



შეგახსენებთ, რომ 4 დეკემბერს გერმანიამ ორი რუსი დიპლომატი გააძევა. ამის მიზეზი ბერლინში საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაა.

გერმანიის საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ ზომას მიმართეს, რადგან მოსკოვი ხანგოშვილის გამოძიებაში თანამშრომლობაზე უარს ამბობს.

# ტიმოშენკომ და პოროშენკომ ზელენსკი გააფრთხილეს



9 დეკემბერს ვლადიმერ ზელენსკი პარიზში შეხვდება მერკელს, მაკრონსა და პუტინს. ამასთან დაკავშირებით პარტიები „ევროპული სოლიდარობა“ (ლიდერი პეტრო პოროშენკო), „ბატკივშჩინა“ (იულია ტიმოშენკო), „გოლოსი“ (ვაკარჩუკი) აცხადებენ, რომ ხალხს მაიდანზე მოუხმობენ, თუ ზელენსკიმ პარიზში რამე დათმო.

ოპოზიციონერები მოითხოვენ, რომ ზელენსკიმ უარი თქვას დონბასში ადგილობრივი არჩევნების ჩატარებაზე მანამ, სანამ უსაფრთხოება არ იქნება უზრუნველყოფილი.

უკრაინის პრეზიდენტისგან აგრეთვე უკრაინის გავლით გაზის ტრანზიტის შენარჩუნებას მოითხოვენ.

ზელენსკიმ საპასუხო გამოსვლაში ოპოზიციას მადლობა გადაუხადა.

– პირობას ვდებ, რომ ქვეყნის ინტერესებს განუხრელად დავიცავ! კარგია, რომ ხალხი ამაში მხარს მიჭერს, – თქვა ზელენსკიმ.

# ტრამპი ერდოღანს შეხვდა

ლონდონის სამიტზე თურქეთი მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ამ მხრივ განსაკუთრებით საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი აქტიურობდა. მიუხედავად ამისა, კულუარებში აშშ-ის პრეზიდენტისა და თურქეთის ლიდერების შეხვედრა მაინც შედგა.

ტრამპ-ერდოღანის მოლაპარაკებების მთავარი თემა რეგიონული უსაფრთხოება და თურქეთ-აშშ-ს შორის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოება იყო.





# ამერიკელმა მეზღვაურმა 2 ადამიანი მოკლა და მერე თავი მოიკლა

გუშინ, 5 დეკემბერს, პერლ ჰარბორის ბაზაზე ამერიკელმა მეზღვაურმა 2 ადამიანი მოკლა და 1 დაჭრა.

ამის შემდეგ მან თავი მოიკლა.

ინციდენტი ადგილობრივი დროით 2:30-ზე მოხდა.

მომხდარის მოტივი ჯერ უცნობია. თავდაცვის დეპარტამენტი თავდამსხმელის ვინაობასა და მოტივს არ ასახელებს. ინციდენტის შემდეგ ბაზა ცოტა ხნით დაკეტილი იყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კეიტ მიდლტონმა და მეგან მარკლმა 80-იანების მოდა დააბრუნეს

კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინმა და სასექსის ჰერცოგინია მეგანმა 80-იან წლებში პოპულარული ნივთები დააბრუნეს მოდაში.



კეიტ მიდლტონი და მეგან მარკლი არაერთხელ შენიშნეს ბლუზში 80-იანებისთვის დამახასიათებელი ბაფთით ყელზე. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მსგავსი სამოსით იორკის პრინცესა ბეატრისი და ესპანეთის დედოფალი ლეტისია იმოსებოდნენ. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ასეთ სამოსს აწ გარდაცვლილ პრინცესა დიანასთვის პატივის მისაგებადაც იცვამდნენ. ის მსგავს ბლუზს პრინც ჩარლზთან ქორწინების შემდეგ ერთობლივი ფოტოსესიების დროს იცვამდა.

სტილისტი სიუზი ჰასლერი ვარაუდობს, რომ დიდი ბრიტანეთის პრინცების მეუღლეები გარდერობის ამ ნივთს იმიტომაც ანიჭებენ უპირატესობას, რომ ის მათ გარეგნობას ელეგანტურობას მატებს და განსაკუთრებულს ხდის.

– ასეთი სტილის პერანგები ნებისმიერი ფიგურის მქონე გოგონას უხდება და ხაზს უსვამს მათ ინდივიდუალურობას. აი რატომ იცვამენ მათ სამეფო ოჯახის წარმომადგენლები, – განმარტა სტილისტმა.

# 2020 წლის მთავარი ფერი დასახელდა

საერთაშორისო კვლევითმა ინსტიტუტმა Pantone-მ 2020 წლის მთავარი ფერი აირჩია. ამის შესახებ კომპანიამ ინფორმაცია ინსტაგრამში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა.

ამრიგად, 2020 წლის მთავარ ფერად არჩეულია Pantone 19-4052 Classis Blue ანუ „კლასიკური ლურჯი“.

– ეს უკვდავი და მშვიდი ფერია, ელეგანტური თავისი უბრალოებით. ის საღამოს ცას მოგაგონებთ და დაცულობის შეგრძნებას გიჩენთ, – დაწერა ფერის დახასიათებაში კომპანიის გვერდის ადმინისტრატორმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ვარი და შანსი მსოფლიოზე

როგორც უკვე მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები 2020 წლის მარტის ბოლოს ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ერთა ლიგის ფლეი ოფების მატჩებს გამართავს. ვლადიმირ ვაისის გუნდი 26 მარტს ბელარუსს უმასპინძლებს, ხოლო მათთან გამარჯვების შემთხვევაში 31 მარტს „დინამო არენაზე" ჩრდილოეთ მაკედონიასა და კოსოვოს შორის უმჯობესს დაუპირისპირდება. უეფას გადაწყვეტილებით, ამ მატჩებისთვის არბიტრები ვიდეოგამეორების სისტემა ვარ-ს გამოიყენებენ.

ასევე იგეგმება სისტემის მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ევროპულ შესარჩევში გამოყენებაც, ოღონდ, ამ შემთხვევაში ფიფასგან დასტურია მისაღები.

რაც შეეხება 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელსაც ყატარი უმასპინძლებს, უეფამ აქაც გაგვიმარტივა მოხვედრა. ევროპის მმართველმა საფეხბურთო ორგანომ ერთა ლიგის მე-2 გათამაშების (2020-21 წლების სეზონი) ფორმატი შეათანხმა და კალათები გაანაწილა. ასევე ცნობილი გახდა, რა გავლენა ექნება ამ გათამაშებას მუნდიალის 2022 წლის საკვალიფიკაციო სისტემაზე.

უეფამ სექტემბერში ერთა ლიგაზე დიდი ცვლილებების შესახებ გამოაცხადა. ერთა ლიგის გათამაშების წილისყრა 2020 წლის 3 მარტს ამსტერდამში (ჰოლანდია) გაიმართება. წილისყრა კი, ერთა ლიგის ა, ბ, ც და დ დივიზიონებში მოთამაშე გუნდებს ჯგუფებში გადაანაწილებს.

საქართველოს ნაკრები ც დივიზიონშია და განთესილთა შორია.

### ა დივიზიონი

**1 კალათა:** პორტუგალია, ჰოლანდია, ინგლისი, შვეიცარია;

**2 კალათა:** ბელგია, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია;

**3 კალათა:** ბოსნია, უკრაინა, დანია, შვედეთი;

**4 კალათა:** ხორვატია, პოლონეთი, გერმანია, ისლანდია;

### ბ დივიზიონი

**1 კალათა:** რუსეთი, ავსტრია, უელსი, ჩეხეთი;

**2 კალათა:** შოტლანდია, ნორვეგია, სერბეთი, ფინეთი;

**3 კალათა:** სლოვაკეთი, თურქეთი, ირლანდია, ჩრ.ირლანდია;

**4 კალათა:** ბულგარეთი, ისრაელი, უნგრეთი, რუმინეთი;

### ც დივიზიონი

**1 კალათა:** საბერძნეთი, ალბანეთი, ჩერნოგორია, საქართველო;

**2 კალათა:** ჩრ.მაკედონია, კოსოვო, ბელარუსი, კვიპროსი;

**3 კალათა:** ესტონეთი, სლოვენია, ლიტვა, ლუქსემბურგი;

**4 კალათა:** სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, მოლდოვა;

### დ დივიზიონი

**1 კალათა:** გიბრალტარი, ფარერები, ლატვია, ლიხტენშტეინი;

**2 კალათა:** ანდორა, მალტა, სან მარინო;

კალათების დალაგების შემდეგ უეფამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, თუ როგორ გათამაშდება ევროპისთვის გამოყოფილი 13 საგზური. ახლა ეს ყველაფერი ფიფამ უნდა დაამტკიცოს, რადგან, მსოფლიოს ჩემპიონატს სწორედ ფიფა ატარებს.

1. მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე 10 შესარჩევი ჯგუფი (5 ჯგუფში 6 ნაკრები იქნება, 5-ში – 5) შეიქმნება, რომელთა გამარჯვებულები (10 ნაკრები) მუნდიალის საგზურს მიიღებენ;

2. მათ დაემატებათ ფლეი ოფში გამარჯვებული 3 გუნდი;

ა) ფლეი ოფში გადის 10 ნაკრები, რომლებიც შესარჩევ ციკლში ციკლში მე-2 ადგილს აიღებენ თავიანთ ჯგუფებში;

ბ) პლუს 2 საუკეთესო ერთა ლიგის ჯგუფის გამარჯვებული (არ აქვს მნიშვნელობა ლიგას), იმათგან რომლებიც არც პირდაპირ მოხვდნენ მუნდიალზე შესარჩევი ციკლიდან და არც ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავეს;



ფლეი ოფში 3 გზა შეიქმნება 4-4 ნაკრებით (ნახევარფინალები და ფინალი), ამ გზის გამარჯვებულები კი მუნდიალის საგზურს მოიპოვებენ. ფინალების მასპინძლებს წილისყრა გამოავლენს.

ასე რომ, საქართველოს ნაკრებისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება, როგორ ითამაშებს ერთა ლიგაზე. შესაძლოა, კიდევ ერთი შანსი დავიმსახუროთ, თუმცა, ამჯერად, ფლეი ოფის საგზური ძალზე რთული მოსაპოვებელია, რადგან 16-ის ნაცვლად (ევრო 2020) ამჯერად, ფლეი ოფში ერთა ლიგიდან მხოლოდ 2 საუკეთესო გადის.

# ფლეი ოფები პირველლიგელთა უპირატესობით დაიწყო

**თელავი-რუსთავი 1:0**

**თელავი. გივი ჩოხელი**

**1:0 ბაშელეიშვილი (54)**

**თელავი:** სანიკიძე, ძოწენიძე, თოლორდავა, მარაქველიძე, ბერიაშვილი, მ.ბაშელეიშვილი, რუხაძე, ენგუენე, ჯიქია, კოშკაძე, კვასოვი

**რუსთავი:** კულუა, ც.კაპანაძე, ლაცაბიძე, ნოზაძე, ვასაძე, სილაგაძე, გუჯაბიძე, ბ.ქავთარაძე, პავლოვი, კიტეიშვილი, ტოლმასოვი

პირველი მატჩი თელავში ჩატარდა და მასპინძელთა გამარჯვებით, 1:0 დამთავრდა. ერთადერთი და გამარჯვების გოლი 54-ე წუთზე მიხეილ ბაშალეიშვილმა გაიტანა. კუთხურის დროს, მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით მასპინძელთა ნახევარმცველმა ისარგებლა და უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა.



არადა, პირველლიგელ გუნდს უამრავი მომენტი შეექმნა მეტოქის კართან და ყველაფრის გადაწყვეტა უკვე პირველივე მატჩში შეეძლო, მაგრამ თოლორდავამ, კოშკაძემ, რუხაძემ და კვასოვმა 100%-იანი მომენტები გაანიავეს.

და მაინც, ეს ანგარიში უპირატესობას თელავს აძლევს, თუმცა ყველაფერი რუსთავში გაირკვევა – 11 დეკემბერს.

**სიონი-სამტრედია 0:0**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

**სიონი:** გოშაძე, უგრეხელიძე, თარხნიშვილი, ხმალაძე, ტატანაშვილი, თარგამაძე, ჯაფიაშვილი, აფაქიძე, სუხიაშვილი, გვარაძე, ივანიშვილი

**სამტრედია:** სეფიაშვილი, საჯაია, ჩაკვეტაძე, კილასონია, ივანიაძე, ენდელაძე, ახალაძე, ყურბანოვი, პავიშიჩი, სამუშია, ქიქავა

ეროვნული ლიგის ფლეი ოფში ბოლნისის სიონმა სამტრედიას უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდებმა არაერთი სახიფათო მომენტი შემოგვთავაზეს, მატჩი უგოლოდ დასრულდა.

შეხვედრა იმერელთა უპირატესობით დაიწყო და შეტევაშიც უმეტესად კაჭარავას შეგირდები აქტიურობდნენ, თუმცა შემდეგ სიონმა მოუმატა და სეფიაშვილსაც მოუწია თამაშში ჩართვა. მატჩის ყველაზე რეალური მომენტი ბოლოს შეიქმნა, როცა დიმიტრი ტატანაშვილმა ახლო მანძილიდან თავით დაარტყა, თუმცა ბურთი კარს ასცდა.

საპასუხო მატჩს სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სტადიონი 11 დეკემბერს უმასპინძლებს.

# შედეგები

**4 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ვესტ ჰემი ........................ 2:0
ლესტერი-უოტფორდი ...................... 2:0
მანჩესტერი-ტოტენჰემი .................. 2:1
საუთჰემპტონი-ნორვიჩი .................. 2:1
ჩელსი-ასტონ ვილა ........................ 2:1
ლივერპული-ევერტონი ..................... 5:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 15 | 14 | 1 | 0 | 37-14 | 43 |
| 2.ლესტერი | 15 | 11 | 2 | 2 | 35-9 | 35 |
| 3.სიტი | 15 | 10 | 2 | 3 | 43-17 | 32 |
| 4.ჩელსი | 15 | 9 | 2 | 4 | 30-21 | 29 |
| 5.ვულვზი | 15 | 5 | 8 | 2 | 21-17 | 23 |
| 6.მანჩესტერი | 15 | 5 | 6 | 4 | 22-18 | 21 |
| 7.კრ.პალასი | 15 | 6 | 3 | 6 | 14-18 | 21 |
| 8.ტოტენჰემი | 15 | 5 | 5 | 5 | 25-23 | 20 |
| 9.შეფილდი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-13 | 19 |
| 10.არსენალი | 14 | 4 | 7 | 3 | 20-21 | 19 |
| 11.ბარნლი | 15 | 5 | 3 | 7 | 21-24 | 18 |
| 12.ბორნმუთი | 15 | 4 | 4 | 7 | 18-21 | 16 |
| 13.ვესტ ჰემი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-25 | 16 |
| 14.ნიუკასლი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-22 | 16 |
| 15.ასტონ ვილა | 15 | 4 | 3 | 8 | 22-24 | 15 |
| 16.ბრაიტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-21 | 15 |
| 17.საუთჰემპტონი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-33 | 15 |
| 18.ევერტონი | 15 | 4 | 2 | 9 | 16-27 | 14 |
| 19.ნორვიჩი | 15 | 3 | 2 | 10 | 16-32 | 11 |
| 20.უოტფორდი | 15 | 1 | 5 | 9 | 9-30 | 8 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

დიჟონი-მონპელიე ........................ 2:2
მეცი-რენი ........................................ 0:1
სტ.ეტიენი-ნიცა ............................... 4:1
ტულუზა-მონაკო ............................... 1:2
პსჟ-ნანტი ......................................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 12 | 0 | 3 | 32-8 | 36 |
| 2.მარსელი | 16 | 9 | 4 | 3 | 22-12 | 31 |
| 3.ბორდო | 16 | 7 | 5 | 4 | 27-17 | 26 |
| 4.ლილი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-15 | 25 |
| 5.სტ.ეტიენი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-20 | 25 |
| 6.მონპელიე | 16 | 6 | 6 | 4 | 20-14 | 24 |
| 7.რენი | 15 | 7 | 3 | 5 | 20-16 | 24 |
| 8.ანჟე | 16 | 7 | 3 | 6 | 19-21 | 24 |
| 9.ნანტი | 16 | 7 | 2 | 6 | 14-16 | 23 |
| 10.ლიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 24-16 | 22 |
| 11.რეიმსი | 15 | 5 | 6 | 4 | 11-8 | 21 |
| 12.ბრესტი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-19 | 21 |
| 13.მონაკო | 15 | 6 | 3 | 6 | 23-25 | 21 |
| 14.ნიცა | 16 | 6 | 2 | 8 | 21-26 | 20 |
| 15.სტრასბური | 16 | 5 | 3 | 8 | 16-21 | 18 |
| 16.დიჟონი | 16 | 4 | 4 | 8 | 11-18 | 16 |
| 17.ამიენი | 15 | 4 | 4 | 7 | 19-28 | 16 |
| 18.მეცი | 16 | 3 | 6 | 7 | 13-21 | 15 |
| 19.ნიმი | 15 | 2 | 6 | 7 | 12-24 | 12 |
| 20.ტულუზა | 16 | 3 | 3 | 10 | 17-31 | 12 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-რეინჯერსი ..................... 2:2
კილმარნოკი-სტ.ჯონსონი ............... 0:0
როსი-ჰიბერნიანი ........................... 2:1
სელტიკი-ჰამილტონი ...................... 2:1
სტ.მირენი-მოზერველი .................... 0:3
ჰართსი-ლივინგსტონი....................... 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მოურინიო მანჩესტერში ჩავიდა და დამარცხდა

პრემიერ ლიგის მე-15 ტურის ცენტრალური შეხვედრა „ოლდ ტრაფორდზე" გაიმართა, სადაც მანჩესტერ იუნაიტედმა ტოტენჰემი მიიღო. ეს ნიშნავს, რომ ჟოზე მოურინიო მანჩესტერში დაბრუნდა, მაგრამ ახლა „მტრის" რანგში, რადგან პორტუგალიელი ახლახან დაინიშნა ტოტენჰემის მწვრთნელად. თუმცა ჟოზეს სტუმრობა მანჩესტერელთათვის ხუმრობა გადმოდგა – ოლდე გუნარ სოლსკიაერის გუნდმა 3-მატჩიანი მოუგებელი სერია სწორედ „დეზებთან" დაასრულა. მოურინიომ ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი მარცხი განიცადა.

შეხვედრის შემდეგ პორტუგალიელმა კომენტარი გააკეთა:

– მეტოქემ კარგად დაიწყო, ჩვენ კი – ცუდად. პირველი გოლი მათი იყო, მეორეს გატანაც შეეძლოთ და უბრალოდ უკეთესად კი არ თამაშობდნენ 30 წუთის განმავლობაში, არამედ მთლიანად დაგვჯაბნეს. ტაიმის ბოლო 15 წუთში კი განსხვავებული სიტუაცია იყო. მეგონა, რომ მე-2 ტაიმში ნორმალურ ვითარებას დავუბრუნდებოდით და ნორმალურობა მატჩის კონტროლს ნიშნავს, მაგრამ როცა ასეთ გოლს უშვებ, საქმე რთულდება.

იუნაიტედმა უკან დაიხია და ტემპის დაგდება სცადა, ამასთან, ძალიან ჭკვიანურ ჯარიმებს იღებდნენ და დაშავებას თვალთმაქცობდნენ, პარალელურად კი სიტუაციას კარგად აკონტროლებდნენ და კონტრშეტევაზეც სახიფათოდ გვიტევდნენ. მე-2 გოლის დროს ჩვენივე შეცდომის გამო დავისაჯეთ. მიზეზი, რის გამოც დარწმუნებით ვიტყვი, რომ იუნაიტედმა გამარჯვება დაიმსახურა, არის პირველი 30 წუთი, რომლის განმავლობაშიც უბრალოდ დაგვჯაბნეს.



## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მხატვრულად გაფორმებული რბილყდიანი ბროშურა; 2. ტბა ნინოწმინდის რაიონში; 3. სომხური ცეკვა; 4. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 12. გერმანული ავტომობილი; 13. დეკორაციული ფერწერა, სადაც გამოყენებულია მხოლოდ ორი ფერი – ღია და მუქი; 14. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 16. ბრიტანული ფუნტი სტერლინგის მეოცედი ნაწილი; 18. ქართული მონასტერი კვიპროსზე; 20. აუქციონ „კრისტის" მფლობელი.

**თარაზულად:** 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. იაპონელი მოდელიერი; 10. მოქმედების უნარის დაკარგვა, დამბლა; 11. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო რეკორდსმენი; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 19. გემის ავარიის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 21. ქერის პური; 22. რამე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. მდინარე ახალციხეში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბრინჯაო; 2. ბონუსი; 3. ჩაინთაუნი; 4. კოჯორი; 5. მელბურნი; 7. უშბა; 11. დესპოტი; 13. დეფექტი; 15. არაყი; 16. კოლიე; 18. რახტი; 19. ტუმბო.

**თარაზულად:** 6. რებუსი; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯომარდი; 12. ჯილდა; 14. გიშერი; 17. ნეფერტიტი; 20. პროლოგი; 21. ჭყვიში; 22. ტაიბეი; 23. ჩეფერინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბულბული; 2. სინოპეკი; 3. ვარძია; 4. ფლეში; 5. ცაგარელი; 8. ფალსტაფი; 12. ლიდა; 13. კაპიტალი; 14. კიბუცი; 16. ჯომარდი; 18. გორდა; 20. ორლი.

**თარაზულად:** 6. კულინანი; 7. გვასალია; 8. ფაგოტი; 9. მურწა; 10. წეროვანი; 11. ახალკაცი; 15. კალიფორნია; 17. ბაროკო; 19. ციტოლოგია; 21. ბახმარო; 22. დისონანსი; 23. ჰიმალაი.

# სამგლოვიარო განცხადებები

ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უმაღლესი კატეგორიის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი და საქართველოს დამსახურებული ექიმი

**ლევან ჩაჩუა**

პანაშვიდი: 5, 6 დეკემბერს;
დაკრძალვა: 7 დეკემბერს;
მისამართი: ნინო რამიშვილის ქუჩა №31ა.



თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ყოფილი მოწაფეები, პედაგოგები, მეგობრები და ვერის უბანი ღრმა მწუხარებას უცხადებს ოჯახს

**ლევან ჩაჩუას**

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9573

ევრო — 3.2796

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8826

100 რუსული რუბლი — 4.6197

## ამინდის პროგნოზი 6 დეკემბერი







## 3 დეკემბრიდან

წიგნი I-II

## რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

**ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი**

## დემნა გვასალია ზემფირამ საყვარელ დიზაინერად დაასახელა

ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია ცნობილმა მომღერალმა ზემფირამ საყვარელ დიზაინერად დაასახელა.



**დემნა გვასალია:**

– ძალიან გამიხარდა, როდესაც ზემფირამ თავის საყვარელ დიზაინერებში დამასახელა. ვიცოდი, რომ ჩემი გულშემატკივარი იყო. ზემფირა ძალიან მიყვარს. თინეიჯერობიდან მიყვარს. ახალგაზრდობაში მთელი დღეები ზემფირას ვუსმენდი. ხშირად ვხუმრობ, რომ ზემფირა ჩემი პირველი სიყვარულია. ყველა ალბომი ზეპირად ვიცი.

ერთმანეთი რენატა ლიტვინოვასგან გავიცანით. რენატამ მითხრა, რომ ზემფირასთან ერთად იყო და, თუ მინდოდა, გამაცნობდა. ასე შევხვდით. შეხვედრამ ძალიან კარგად ჩაიარა. მითხრა, რომ მოსწონს, რასაც ვაკეთებ.

## ელენე ტალაბაძემ პრაღაში გაიმარჯვა

ქართველმა მომღერალმა ელენე ტალაბაძემ პრაღაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა და პირველი ადგილი მოიპოვა.




ინფორმაცია მომღერალმა **თამრიკო მეჭიაურმა** გაავრცელა:

– ელენე ტალაბაძეს ვულოცავ წარმატებას პრაღაში, ფესტივალზე პირველ ადგილს, სტუდია „ჩარი-რამას“, სტუდია „ლურჯა ცხენების“ ხელმძღვანელ ნანა ბალახაშვილს, თამარ ლაცაბიძეს. მინდა, წარმატებები ვუსურვო, ეს ოთხი წლის მუშაობის დიდი დაფასებაა, მიყვარხარ, პატარავ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

რუსს ეკითხებიან:

– მართალია, რომ თქვენთან იუთუბის აკრძალვას აპირებენ?

– რუსეთში ყველაფერი შეიძლება, ეს თავისუფალი ქვეყანაა და შეზღუდვები არ არსებობს!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, კარტი გახდაზე ვითამაშოთ.

– შენ რა უფრო გაინტერესებს, ნახვა, თუ შემდეგ თავის მოწონება?

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– შენ სულ ამ კულინარიულ გადაცემებს უყურებ, მაგრამ ნორმალური კერძის გაკეთება მაინც ვერ ისწავლე.

– შენ რომ სულ პორნოს უყურებ...

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– პოეტი რომ ვყოფილიყავი, ლექსს მოგიძღვნიდით, მხატვარი რომ ვყოფილიყავი, დაგხატავდით, მაგრამ, ვინაიდან მხოლოდ უბრალოდ ავეჯის ფაბრიკაში დარაჯი ვარ, საწოლს შემოგთავაზებთ.

•••

ცოლი და ქმარი პარკში სეირნობენ. კარუსელთან ქმარი ცოლს ეუბნება:

– ამ ატრაქციონზე არ დაჯდე, თორემ ტრუსიკი გამოგიჩნდება!

– კარგი! – უპასუხა ცოლმა.

ქმარი ნაყინის საყიდლად წავიდა, უკან დაბრუნებული კი ხედავს, რომ ცოლი კარუსელზე ზის და უყვირის:

– რატომ დაჯექი??? ხომ გაგაფრთხილე!

– ნუ გეშინია! ტრუსიკი გავიხადე!!!

## აზარმა, შესაძლოა, ელ კლასიკო გამოტოვოს




მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა, შესაძლოა, ელ კლასიკო გამოტოვოს, რადგან მისი ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ფიქრობდნენ.

აზარს კუნთის დაზიანება აქვს. ეს ტრავმა მას ადრეც აწუხებდა და ამიტომ, შესაძლოა, სამი კვირა გამოტოვოს, ბარსელონასთან შეხვედრა კი 18 დეკემბერს გაიმართება.

აზარის გარდა, ასევე საეჭვოა ბრაზილიელი მცველის მარსელოს თამაში, რომელსაც ასევე კუნთის ტრავმა აწუხებს.

ამ ორი ფეხბურთელის გარეშე რეალი, ბუნებრივია, დასუსტდება.

## გიორგი ჩაკვეტაძე გენტიდან წასვლაზე ალაპარაკდა



გიორგი ჩაკვეტაძემ რუსთავი-2-თან ინტერვიუში თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ გენტი მის გაყიდვას 25 მილიონზე ნაკლებად არ აპირებს. გიორგიმ თავის მომავალ კლუბებზე ისაუბრა და თქვა, რომ ყველაზე მეტი დაინტერესება გერმანიიდან არის:

– რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის არიან ბაიერი და მიონხენგლადბახის ბორუსია, მაგრამ ჯერჯერობით გენტში ვარ და ველოდები მოედანზე დაბრუნებას. ბელგიელები ჩემს გაყიდვას 25 მილიონად აპირებენ და ამაზე ნაკლები ფასი მათ არ აკმაყოფილებთ.

## მესი: „სადიო მანეს თამაში ძალიან მომწონს“



ლიონელ მესიმ აღიარა, რომ ლივერპულის სენეგალელი ფორვარდის სადიო მანეს თამაში ძალიან მოსწონს და სიამოვნებით იხილავდა მას ბარსელონაში.

მესიმ ასევე აღნიშნა, რომ ოქროს ბურთს მანეც იმსახურებდა:

– შარშან ბევრმა ფეხბურთელმა ჩაატარა კარგი სეზონი, მაგრამ მინდა, სადიო მანე გამოვყო. ის შესანიშნავი ფეხბურთელი და ლივერპულის ნამდვილი ლიდერია. ვფიქრობ, ის ოქროს ბურთს იმსახურებდა და, შესაძლოა, მომავალში ეს ჯილდო მიიღოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ანსამბლმა „ბასიანმა“ საქველმოქმედო კონცერტი გამართა



ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბასიანმა“ საქველმოქმედო კონცერტი გამართა.

საღამო 4 წლის გაბრიელს მიეძღვნა, რომელიც სიმსივნეს ებრძვის და მკურნალობისთვის სოლიდური თანხები ესაჭიროება.

საქველმოქმედო კონცერტი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პროექტის „ხალხური საღამოები“ თბილისში ჩატარდა.

პატარა გაბრიელის დასახმარებლად გამართულ საღამოზე გაჟღერდა ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ნიმუშები, შესრულდა ისეთი სიმღერები, რომლებიც ანსამბლმა სპეციალურად ამ კონცერტისთვის მოამზადა: აჭარული „განდაგანა“, კახური „საფანდურო სიმღერა“, სვანური „წმინდაო ღმერთო“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## „მასტერშეფი“ მესამე სეზონისთვის მონაწილეებს ეძებს



კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ მესამე სეზონისთვის მონაწილეების შერჩევას იწყებს.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე სეზონი ჯერ არ დასრულებულა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადის, მისი ხელმძღვანელები მომდევნო სეზონისთვის კონკურსანტებს უკვე ეძებენ.

განაცხადების მიღება დაწყებულია. შოუს მომდევნო სეზონი ეთერში მომავალი წლის გაზაფხულზე გავა.

„მასტერშეფში“ მონაწილეობისთვის მთავარი პირობაა, რომ კონკურსანტს ძალიან უყვარდეს სამზარეულო, მზად იყოს ყველანაირი ექსპერიმენტისთვის და იყოს სრულწლოვანი.

## ასტროპროგნოზი



6 დეკემბრისათვის

**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ნიადაგის ნაყოფიერების, ბარაქის, სიუხვის ღვთაება სვანეთში; 2. სოფელი ხევსურეთში; 3. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 4. ტბა სამხრეთ საქართველოში; 5. თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, ქაშვეთის ეკლესიის პროექტის ავტორი; 7. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 11. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებდნენ მემატიანეები; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 18. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 19. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 6. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 8. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. ღვიძლის მიერ გამომუშავებული მომწვანო-მოყვითალო სითხე; 10. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 12. ლუთერანული ეკლესია; 14. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ტყის კაცი ქართულ ფოლკლორში; 21. წინასწარი მონახაზი; 22. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 23. ნივთიერების მაღალ ტემპერატურაზე დაშლის ქიმიური პროცესი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*